ახალი განათლება

30 მარტი - 5 აპრილი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№12 (766) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

გაამართლა თუ არა უფასო ფაკულტეტებმა

გვ. 2



მაია მიმინოშვილი: რა თქმა უნდა, როდესაც უფასოდ ვსწავლობ უმაღლეს სასწავლებელში, ეს ძალიან კარგია და, რასაკვირველია, ჩემს არჩევანზე გარკვეულწილად მოქმედებს, მაგრამ, შევთანხმდეთ, რომ ეს განმსაზღვრელი არ უნდა იყოს, იმიტომ რომ, მეტ-ნაკლებად, ჩამოყალიბებული უნდა მქონდეს, რა მიმართულებით ვაპირებ სწავლის გაგრძელებას და, რა თქმა უნდა, უნდა ვიბრძოლო იმისთვის, რომ სახელმწიფომ ნაწილობრივ ან სრულად დამაფინანსოს. ამან ჩემი არჩევანი დრამატულად როგორ უნდა შეცვალოს?

წიგნის თარო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის



პროფესიული უნარების სახელმძღვანელო დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოემზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

თემატიკა: გაკვეთილის დაგეგმვა, სწავლების მეთოდები, კლასის მართვა, შეფასება, რესურსები, კათედრაზე მუშაობის ფორმები, გამჭოლი კომპეტენციები, მოტივაცია, ინკლუზიური საკლასო გარემო და ისგ, კომუნიკაცია, სასკოლო კონფლიქტები, გაკვეთილის ტიპები, საგანმანათლებლო რესურსის ტიპები და მისი შექმნის ეტაპები, სწავლის და განვითარების თეორიები და ა.შ.

ფასი – 15 ლარი

მიმდინარეობს ხელმოწერა

გვ. 4

ახალი პროექტი

ამერიკული ფილმების ჩვენება

გვ. 6

კვალი ნათელი

ქართველი ავიაკონსტრუქტორები აშშ-ში და კანადაში



გვ. 6

სასკოლო აქტივობა

როცა ფანტასტიკა განსაკუთრებით საინტერესოა

უმაღლესი განათლება

გაამართლა თუ არა უფასო ფაკულტეტებმა

ლალი ჯელაძე

ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაცია 31 მარტს დასრულდება. ამ დროისთვის დარეგისტრირებულია 35 200-ზე მეტი აპლიკანტი. ჯერჯერობით, უცნობია ე.წ. უფასო ფაკულტეტების ჩამონათვალი, რომელმაც საზოგადოების კიდევ უფრო დიდი ინტერესი მას შემდეგ მიიპყრო, რაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მისი ცვლილების შესახებ დააანონსა. **ალექსანდრე ჯეჯელავას** განცხადებით, ცვლილებები იგეგმება ე.წ. უფასო ფაკულტეტების დაფინანსებასთან დაკავშირებით და ის მომხრეა, რომ უფასო ფაკულტეტებზე რაოდენობრივი კვოტა შემცირდეს, თუმცა, მინისტრი უფასო ფაკულტეტების გაუქმებას გამორიცხავს.

მისი თქმით, გაჩნდება მოთხოვნა, რომ სტუდენტმა გარკვეულ დონეზე ისწავლოს, რათა უფასო ფაკულტეტზე ადგილი შეინარჩუნოს. *„სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში, უფასო ფაკულტეტები, გარდა იმ ხალხისა, ვისაც კონკრეტულად ამ მიმართულებით უნდა პროფესიის შეძენა, იმ ადამიანებისთვისაც გახდა ნავსაყუდელი, ვინც სხვაგან ვერ ჩააბარა და მხოლოდ ამიტომ გადაწყვიტა ამ ფაკულტეტების არჩევა. აკადემიური მოსწრება, ხშირ შემთხვევაში, უფასო ფაკულტეტებზე საკმაოდ დაბალია. ჩემი სურვილია, უფასო სწავლა აკადემიურ მოსწრებასთან იყოს დაკავშირებული. უფასო ფაკულტეტი კარგია იმ შემთხვევაში, თუ რეალურად სწავლობ და იძენ პროფესიას. მე ვარ მომხრე, რომ რაოდენობრივი კვოტები შემცირდეს, უფასო ფაკულტეტების იდეას ვემხრობი.“*

მინისტრი არ გეგმავს სპეციალობების რაოდენობის შემცირებას, პირიქით, აცხადებს, რომ: *„სპეციალობების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს კიდეც, მაგრამ თითოეულზე უფასოდ სწავლის საშუალება მიეცემათ მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებიც რეალურად სწავლობენ და ნამდვილად დებენ შედეგს.“*

სულ რამდენიმე წელია, რაც უმაღლესი განათლების სფეროში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის პროგრამა ამოქმედდა.

საგანმანათლებლო დაწესებულებებზე დაფინანსების გაცემის მიზანი, ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, არის: ა) არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივად გამოყენების ხელშეწყობა; ბ) ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო, სოციალურ, ტექნიკურ, აგრარულ მეცნიერებათა და სხვა პრიორიტეტული პროგრამული მიმართულებების, როგორც ეროვნული კულტურისა და განათლების განუყოფელ შემადგენელ ნაწილთა, განვითარება და ახალგაზრდების დაინტერესების ხელშეწყობა აღნიშნული მიმართულებებით სწავლის გასაგრძელებლად; გ) სტუდენტების ისეთი პროფესიული მოღვაწეობისათვის მომზადება, რომელიც სამეცნიერო ცოდნისა და მეცნიერული მეთოდების გამოყენებას მოითხოვს; დ) სახელმწიფო პოლიტიკისა და მისი განხორციელების მიმართ საზოგადოების პოზიტიური დამოკიდებულებისა და პროცესში ჩართულობის ზრდა.

გასულ წელს, პროგრამული დაფინანსების მიღებაზე 8 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი გახდა უფლებამოსილი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი (1225), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (1900), აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი (970), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი (460), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (200), თელავის სახელმწფიო უნივერსიტეტი (230) და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (360). საერთო ჯამში, გასულ წელს, სახელმწიფოს მიერ, 21 პროგრამა (5655 ადგილი) დაფინანსდა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 13 მილიონი გამოიყო. ექსპერტების ნაწილი მინისტრის ინიციატივას მიესალმება, **გია ნოდიამ** ერთ-ერთ სატელევიზიო კომენტარში განაცხადა, რომ: *„არა მარტო შემცირებას, საერთოდ გაუქმებას დავუჭერდი მხარს, იმ პირობით, რომ ეს თანხა ისევ განათლებაში ჩაიდოს, ოღონდ უფრო ყაირათიანად“.*

რა გახდა უფასო ფაკულტეტების კვოტების შესაძლო შემცირების მიზეზი და რას დაეყრდნო მინისტრი ამ განცხადებისას? – ამის შესახებ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაში** ამბობს, რომ: *„სამინისტროს აქვს კონკრეტული სტატისტიკური მონაცემები, რომ გარკვეული პროგრამების დაფინანსება შედეგს არ გვაძლევს როგორც დარგის განვითარების, ასევე დასაქმების კუთხით. აბსოლუტურად რეზონული შეიძლება იყოს არსებული სიის გადახედვა.“*

* * *

იქონიებს თუ არა რაიმე გავლენას აბიტურიენტების მიერ გაკეთებულ არჩევანზე უფასო ფაკულტეტების კვოტის შემცირება და იგეგმება თუ არა, უახლოეს მომავალში, სტუდენტთა დაფინანსების სისტემის შეცვლა, ამის შესახებ გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი **მაია მიმინოშვილი:**

– რეგისტრაცია მშვიდად მიმდინარეობს და 31 მარტს დასრულდება. დიდი ალბათობით, წელს აბიტურიენტების რაოდენობა 35 ათასს გადააჭარბებს, თუმცა ზუსტ ციფრს ჯერჯერობით ვერ გეტყვით, რადგან, როგორც წესი, ბოლო დღეებში რაოდენობა დრამატულად იცვლება.

რეგისტრაცია 31 მარტს შეწყდება და მსურველს აღარ ექნება შესაძლებლობა, გაიაროს რეგისტრაცია, ხოლო დარეგისტრირებულს – შეცვალოს ქალაქი. დარეგისტრირებულ აბიტურიენტს შეუძლია დანარჩენი ყველაფერი შეცვალოს, 20 მაისის ჩათვლით საგნის შეცვლაც შეუძლიათ, საგამოცდო ენის და, რა თქმა უნდა, ფაკულტეტების ჩამონათვალში ცვლილების გაკეთების უფლება კიდევ უფრო დიდხანს აქვს.

არანაირი ტრაგედია იმაში არ არის, დღეს თუ არაა ცნობილი ზუსტად ის მიმართულებები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ ფინანსდება, რადგან აბიუტრიენტებს ცვლილებების განხორციელების უფლება დიდხანს აქვთ. უკეთესი იყო თუ არა, რომ ადრე სცოდნოდათ, რა თქმა უნდა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. კარგია, რომ ყველაფერი ერთი და ორი წლით ადრე დავგეგმოთ. ბუნებრივია, კარგი იქნებოდა ეს ინფორმაცია უფრო ადრე ჰქონოდათ, ვიდრე რეგისტრაცია დაიწყებოდა, უკეთესი იქნებოდა, სექტემბერში რომ სცოდნოდათ. მაგრამ ამაშიც ხომ არის ლოგიკა, რომ მთავრობა ყოველწლიურად ადგენს პრიორიტეტულ მიმართულებებს და იმაშიც, რომ გარკვეული პერიოდი სჭირდება ამისთვის. როცა ე.წ. უფასო ფაკულტეტები გამოცხადდა, როგორც გახსოვთ, სწორედ მაშინ შევთავაზეთ ჩვენ რეგისტრაციის ასეთი მოქნილი პროცესი, თორემ მანამდე, წინა წლებში, დაახლოებით ერთი თვე იყო ამისთვის გამოყოფილი და ამ ხნის განმავლობაში უნდა გაეკეთებინა აბიტურიენტს ყველა არჩევანი – ეს ეხებოდა საგანს, უმაღლეს სასწავლებელს, ფაკულტეტს და ა.შ. მერე ვერაფერს ვერ ცვლიდა. ახლა ძალიან დიდი დრო აქვთ, რომ არჩევანი შეცვალონ. აქედან გამომდინარე, არა მგონია, რაიმე პრობლემა შეიქმნას იმით, რომ დღეს ზუსტად არ ვიცით ეს მიმართულებები. უფრო მეტსაც გეტყვით – რა თქმა უნდა, როდესაც უფასოდ ვსწავლობ უმაღლეს სასწავლებელში, ეს ძალიან კარგია და, რასაკვირველია, ჩემს არჩევანზე გარკვეულწილად მოქმედებს, მაგრამ, შევთანხმდეთ, რომ ეს განმსაზღვრელი არ უნდა იყოს, იმიტომ რომ, მეტ-ნაკლებად, ჩამოყალიბებული უნდა მქონდეს, რა მიმართულებით ვაპირებ სწავლის გაგრძელებას და, რა თქმა უნდა, უნდა ვიბრძოლო იმისთვის, რომ სახელმწიფომ ნაწილობრივ ან სრულად დამაფინანსოს. ამან ჩემი არჩევანი დრამატულად როგორ უნდა შეცვალოს? პირობითად ვამბობ, თუ მინდა გავხდე არქეოლოგი, მაგრამ აღმოჩნდება, რომ სახელმწიფო, არქეოლოგიას კი არა, ფიზიკას აფინანსებს, ამის გამო უნდა შევცვალო გადაწყვეტილება და ფიზიკურზე ჩავაბარო? ეს ხომ არ არის ნორმალური, ამით იმის თქმა მინდა, რომ რაღაც ფორმით უნდა ვიყო ჩამოყალიბებული, რა მიმართულებით მინდა სწავლის გაგრძელება, სულ ერთი არ უნდა იყოს, რას ავირჩევ პროფესიად.

– როგორია დინამიკა, თუ გაიზარდა უფასო ფაკულტეტების მიმართულებებზე აბიტურიენტების რაოდენობა?

– გაიზარდა, მაგრამ უნდა გვიხაროდეს თუ არა, ეს მეორე საკითხია. იმიტომ, რომ თუ ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის არის უფასოდ სწავლა, ეს უკვე ნიშნავს „სუსტ“ სტუდენტს. ის აბიტურიენტები, რომლებიც ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ (რასაკვირველია, ყველას გაუხარდება, გადასახადი თუ არ ექნება) და ორიენტირებულად ირჩევენ იმ მიმართულებას, სადაც მართლა უნდათ სწავლის გაგრძელება, დააფინანსებს თუ არა სახელმწიფო, „კარგი“ სტუდენტები არიან. აქედან გამომდინარე, თუკი ადრე ფიზიკურზე (ფიზიკურსაც პირობითად ვამბობ) ძალიან ცოტა სტუდენტი აბარებდა და ახლა სტუდენტების რაოდენობა იმის გამო გაიზარდა, რომ სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ეს არ ნიშნავს, რომ ხარისხს მივიღებთ.

– ანუ ეს ცვლილება დაფუძნებული იქნება სწორედ ხარისხის კვლევაზე? რატომ გახდა საჭირო ცვლილება, რას ეყრდნობა კვოტების შემცირების აუცილებლობა?

– ბევრი ფაქტორია, რაც სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს და, ალბათ, გაითვალისწინებს. პრიორიტეტული მიმართულება იმის მიხედვით უნდა განისაზღვროს, ქვეყნისთვის რომელი სფერო იქნება პრიორიტეტული. მაგალითად, ინჟინერია რომ ქვეყნისთვის პრიორიტეტულია, ამაზე ორი აზრი არ არის, მაგრამ სჭირდება თუ არა, მაგალითად, ამდენი სამართალმცოდნე, თუ უფრო მეტი ინჟინერი, ამის განსაზღვრაა მთავარი და ძირითადი.

– შეეხება თუ არა წელს განხორციელებული ცვლილება წინა წლებში ჩარიცხულ უფასო ფაკულტეტის სტუდენტებს?

– ყველა წესით და რიგით, არ უნდა შეეხოს და დარწმუნებული ვარ, არც შეეხება.

– უნდა ველოდოთ თუ არა დაფინანსების ახალ სისტემას, რომელიც სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე იქნება მიბმული, რომლის შესახებაც მიდის საუბარი.

– ასე მარტივად გადაწყვეტილების მიღება, რომ სტუდენტი სახელმწიფო გრანტს ერთი წლით მოიპოვებს და ერთი წლის შემდეგ, მოდი, აკადემიურ მოსწრებაზე მივაბათ, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი რისკის შემცველია. ასეთი სისტემის შექმნა, ნამდვილად არ არის მარტივი და სერიოზული მუშაობა სჭირდება. აქედან გამომდინარე, დაუფიქრებელი გადაწყვეტილებით უარეს შედეგს მივიღებთ, ვიდრე დღეს გვაქვს. თუმცა, ისევ ვიმეორებ, იდეის დონეზე, ისეთი მექანიზმის შექმნა, რომ სტუდენტს გავუჩინოთ მოტივაცია კარგი აკადემიური მიღწევებით შეინარჩუნოს თავისი ფინანსური სტატუსი, ძალიან კარგია, მაგრამ ამის განხორციელება რთულია – სტუდენტების ცენტრალიზებულად დაფინანსება აკადემიურ მიღწევებზე მიბმით ნამდვილად არ გამოვა.

წელს ამ ცვლილებას არ უნდა ველოდოთ, დაფინანსების სისტემა ისეთივე დარჩება, როგორც არის. თავისთავად, დაფინანსების მსგავსი სისტემა უკვე არსებობს (ვგულისხმობ სტიპენდიებს). ამ სისტემის გამართვა გაცილებით სწორად მიმაჩნია, ვიდრე ცენტრალიზებულად დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

* * *

რის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ ე.წ. უფასო ფაკულტეტის სტუდენტებს ყველაზე დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ? ამის შესახებ აზრის გამოხატვა ვთხოვეთ უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს. ნაწილმა იმის გამო შეიკავა თავი, რომ ჯერჯერობით ცვლილების შესახებ ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს და აქედან გამომდინარე, კომენტარის გაკეთებასაც უადგილოდ მიიჩნევენ (ან მას შემდეგ გააკეთებენ, როცა ცვლილებას ოფიციალური დოკუმენტით შეიტყობენ). ნაწილმა, უბრალოდ, არ გვიპასუხა. ჩვენ შეკითხვას ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა **ლევან კლიმიაშვილმა** *უპასუხა. მას მიაჩნია, რომ უფასო ფაკულტეტების შემოღებით სახელმწიფომ, თავის დროზე, ძალიან სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა განმარტავს, რომ უფასო არ არის, რადგანაც სტუდენტების სწავლის საფასურს სამინისტრო იხდის.*

„მართლაც ძალიან დროული და სასარგებლო გადაწყვეტილება იყო, რადგან ამის შემდეგ გამოცოცხლდა ჩვენთან მთელი რიგი ფაკულტეტები, მაგალითად, სამშენებლო. არქიტექტურის ფაკულტეტზე არც მანამდე იყო პრობლემა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ აქ სწავლის კიდევ უფრო სერიოზული სტიმული გაუჩინა ახალგაზრდებს, მოდიან უფრო მოტივირებულებიც და მეტად წარმატებულებიც. ამის გარდა, ფინანსდება ენერგეტიკისა და აგრარული ფაკულტეტებიც. აგრარულ ფაკულტეტზე სწორედ დაფინანსებამ იქონია დიდი გავლენა და ძალიან დიდი რაოდნეობით სტუდენტი მოიზიდა. ადრე ამ ფაკულტეტზე მსგავსი მოთხოვნა არასდროს გვქონია. მთლიანობაში, შეიძლება გითხრათ, რომ ამ ნაბიჯმა სასარგებლო შედეგი გამოიღო და ჩემი აზრით, რა თქმა უნდა, ისევ უნდა გაგრძელდეს, მეტიც, უფრო ფართო შინაარსი მიეცეს, რადგან, როგორც გითხარით, მთელ რიგ ფაკულტეტზე სერიოზული მოთხოვნა გააჩინა და გააცოცხლა ეს მიმართულებები. ამ ჩანაფიქრის საბოლოო მიზანიც ხომ სწორედ ეს იყო.“

რაც შეეხება უფასო ფაკულტეტებზე სტუდენტების აკადემიური მოსწრების ხარიხს, ბატონი ლევანი არ ეთანხმება

ეხანაიხი ტხაგედია იმაში ეხ ეხის, დღეს თუ ეხაა ცნობილი ზუსტად ის მიმეხთეღებები, ხომღებიც სახეღმწიფოს მიეხ ფინანსდება, ხადგან აბიტუხიენტებს ცვლიღებების განხოხციეღების უფღება დიდხანს აქვთ.

ხა თქმა უნდა, ხოდესაც უფასოდ ვსწავლობ უმაღღეს სასწავლებელში, ეს ძაღიან ჯეხგია და, ხასაჯვეხვეღია, ჩემს ეხჩევანზე გაეჯვეუღნიღად მოქმედებს, მაგხამ, შევთანხმდეთ, ხომ ეს განმსაზღვხეღი ეხ უნდა იყოს, იმიტომ ხომ, მეტ-ნაკლებად, ჩამოყაღიბებული უნდა მქონდეს, ხა მიმეხთეღებით ვაპხიებ სწავღის გაგხძეღებას და, ხა თქმა უნდა, უნდა ვიბხძოღო იმისთვის, ხომ სახეღმწიფომ ნაწიღობხივ ან სხეღად დამაფინანსოს. ამან ჩემი ეხჩევანი დხამატუღად ხოგოხ უნდა შეცვაღოს?

იდეის დონეზე, ისეთი მექანიზმის შექმნა, ხომ სტუდენტს გავუჩინოთ მოტივაცია ჯეხგი აკადემიური მიღწევებით შეინაჩუნოს თავისი ფინანსეხი სტატუსი, ძაღიან ჯეხგია, მაგხამ ამის განხოხციეღება ხთეღია – სტუდენტების ცენტხალიზებეღად დაფინანსება აკადემიეხ მიღწევებზე მიბმით ნამდვიღად ეხ გამოვა.

წეღს ამ ცვლიღებას ეხ უნდა ვეღოდოთ, დაფინანსების სისტემა ისეთივე დაჩჩება, ხოგოხც ეხის. თავისთავად, დაფინანსების მსგავსი სისტემა უკვე ეხსებობს (ვგუღისხმობ სტიპენდიებს). ამ სისტემის გამეხთვა გაციღებით სწოხად მიმაჩნია, ვიდხე ცენტხალიზებეღად დაფინანსების შესახებ გადაწყვეტიღების მიღება.

უმაღლესი განათლება

მოსაზრებას, რომ ისინი დანარჩენ სტუდენტებზე დაბალი აკადემიური მოსწრების არიან: *„არც ერთ შემთხვევაში ეს ასე არ არის, რადგან ამ ფაკულტეტების სტუდენტებიც ისევე სწავლობენ, როგორც დანარჩენები, არც უარესად და არც უკეთესად. ისინი ჩვეულებრივი სტუდენტების რანგში არიან, არც წარმატებულები და არც ჩამორჩენილები“.*

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **თამარ ვეფხვაძე** ამბობს, რომ: *„ნებისმიერი ცვლილება, რომელიც საკანონმდებლო დონეზე ხორციელდება, უზრუნველყოფილია მისი განხორციელების ვადებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დაანონსებული ცვლილებები არ უნდა შეეხოს იმ აბიტურიენტებს, რომლებიც ამჟამად გადიან რეგისტრაციას ან უკვე დარეგისტრირდნენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.“* მისი აზრით, „უფასო პროგრამებზე“ სწავლისას სტუდენტებს ვალდებულება უნდა ჰქონდეთ – გაამართლონ სახელმწიფოს მოლოდინები. *„ მათ აკადემიურ მოსწრებას გადამწყვეტი ადგილი უჭირავს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების პროექტის გაგრძელების თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს ვერ ექნება სასურველი შედეგი და აღმოჩნდება, რომ სტუდენტთა პროგრამული დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხები არ იქნა დახარჯული ჯეროვნად.“*

კოალიციის „განათლება ყველასათვის საქართველო“ კომუნიკაციის მენეჯერი **გიორგი ჭანტურია** მიიჩნევს, რომ უფასო ფაკულტეტების დაფინანსების ინიციატივა იმ მიზნით დაიწყო, რომ ამ პროფესიების პოპულარიზაცია მომხდარიყო და ახლა მინისტრის განცხადებას, რომ უფასო ფაკულტეტებზე შეიძლება სტუდენტთა რაოდენობა შემცირდეს, უფრო პირველად კომენტარს უწოდებს. ამბობს, რომ ეს დასკვნა ისევ მინისტრის სიტყვებიდან გამომდინარეობს, რადგან თავად ალექსანდრე ჯეჯელავამ აღნიშნა, რომ რაიმეს თქმა გადაწყვეტით (ან ასე იქნება, ან ისე), არასწორია. *„ეს მისაღებია და მოგვეწონა, რადგანაც, სავარაუდოდ, თემას განხილვა მოჰყვება და იმედია, ჩართულობაც მაღალი იქნება. სხვაგვარად წარმოუდგენელია, რადგან მაღალი ინტერესის საკითხია და ამიტომაც მხოლოდ სამინისტროს მიერ საკითხის განხილვა არასწორი იქნება.* – ამბობს გიორგი ჭანტურია. – *გარდა ამისა, ის მონაცემები, რომელზე დაყრდნობითაც მიიღებენ ან აპირებენ, განიხილონ და მიიღონ ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, აუცილებლად ჩვენც უნდა ვნახოთ და დავრწმუნდეთ მათ სისწორეში. ღია და გასაგები უნდა იყოს, რა მონაცემებზეა საუბარი და ა.შ. მხოლოდ იმის თქმა, რომ ეს მიმართულებები პრესტიჟული არ არის ან შემდგომში დასაქმებას ვერ უზრუნველყოფენ, არ კმარა. პრინციპში, არც კი ვიცით, რამდენად არის დასაქმების პრობლემა მიზეზ-შედეგობრივ კავშირში უფასო ფაკულტეტებთან. ერთი რამ ცხადია, განათლების სისტემაში ყველაზე სერიოზული პრობლემა სწორედ სწავლების ხარისხთანაა დაკავშირებული (სხვა საკითხებს რომ თავი დავანებოთ). რამდენად იწვევს უფასო ფაკულტეტი აღნიშნულ პრობლემებს, ეს კიდევ გასარკვევია. ამიტომ, საჭიროა ამ საკითხის კიდევ მეტად შესწავლა და, კონსულტაციების შემდგომ, გადაწყვეტილების ერთობლივად მიღება.“*

არის თუ არა ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ნაჩქარევი? ამის შესახებ გიორგი ჭანტურია ამბობს: *„ფაქტია, რომ მინისტრი რაღაცას დაეყრდნო, როცა ეს განცხადება გააკეთა, მაგრამ არ ვიცი, რა მონაცემებს. მაგრამ, ალბათ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თუ, რამდენად სწორია უფასო ფაკულტეტებზე კვოტების შემცირების გადაწყვეტილება, როცა ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა. შესაძლებელია რაიმე ალტერნატივაც არსებობდეს (დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს), რომელიც იმ პრობლემებს აღმოფხვრის, რაზეც მინისტრი საუბრობდა. გარდა ამისა, აუცილებელია, ასეთი გადაწყვეტილების მიღება არ დაემთხვეს გამოცდების პერიოდს. შესაბამისად, თუ ახლა იქნა მიღებული, არა მგონია, ეს სტუდენტებისთვის კარგი იყოს. მართალია, მაია მიმინიშვილმა განაცხადა, რომ ეს ტრაგედია არ არის. დავეთანხმები, ტრაგედია არ არის, მაგრამ აბიტურიენტისთვის ნამდვილად დამაბნეველი იქნება, არჩევანის გაკეთების შემდეგ, შეიტყოს მის მიერ არჩეულ ფაკულტეტზე განხორციელებული ცვლილების შესახებ. ამიტომაც სასურველია, მსგავსი გადაწყვეტილება რეგისტრაციის დაწყებამდე მიიღონ ხოლმე, მაგალითად, სექტემბერში ან ოქტომბერში. ახალგაზრდას გონივრული ვადა უნდა მიეცეს, რომ საგნის და ფაკულტეტის მონიშვნისას, სწორი არჩევანი გააკეთოს, რადგან ფინანსური საკითხი, ხშირ შემთხვევაში, აბიტურიენტთა უმეტესობისთვის გადამწყვეტია.“*

უფასო ფაკულტეტების ჩამონათვალი საზოგადოებისთვის, დაახლოებით, ერთი თვის განმავლობაში გახდება ცნობილი, მას შემდეგ, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, უახლოეს მომავალში, მთავრობას წარუდგენს დასამტკიცებლად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 27 მარტიდან 8 აპრილის ჩათვლით, აცხადებს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაციას

რეგისტრაციის გავლა, პირადობის მოწმობით, შესაძლებელია საქართველოს მასშტაბით არსებულ საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში.

წელს პირველად, აპლიკანტებს საშუალება აქვთ, ასევე, გამოიყენონ ელექტრონული (ონლაინ) რეგისტრაციის რეჟიმიც ვებგვერდის – www.vet.emis.ge – მეშვეობით.

შეგახსენებთ, რომ რეგისტრაცია შესაძლებელია ერთი მიმართულების ქვეშ არსებულ ერთზე მეტ პროგრამაზე!

რეგისტრირებულ აპლიკანტს, რეგისტრაციიდან რამდენიმე დღეში, გადაეცემა საგამოცდო ბარათი, რომელზეც დატანილი იქნება ინფორმაცია ტესტირების ადგილისა და თარიღის შესახებ. ტესტირების შედეგების შემდეგ, აპლიკანტებს საშუალება ექნებათ, გადახედონ რეგისტრაციისას მათ მიერ გაკეთებულ არჩევანს და ერთი მიმართულების ქვეშ შეცვალონ სასურველი პროგრამების სია, მიღებული ქულებისა და წინა წლების სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით.

ინფორმაცია პროფესიული ტესტირების შესახებ, ასევე, ტესტების ნიმუშები განთავსებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები რეგისტრაციას გადიან ზემოაღნიშნული პროცედურის საფუძველზე, თუმცა ისინი სარგებლობენ ალტერნატიული პროფესიული ტესტირებით, რაც მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებასა და პროფესიის მოსინჯვას გულისხმობს.

ისევე როგორც წინა წელს, 2017 წლის საგაზაფხულო მიღებაზეც, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ენობრივი ბარიერის გამო ვერ ახერხებდნენ პროფესიული განათლების მიღებას, შესაძლებლობა ექნებათ, რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე გაიარონ ტესტირება. მათთვის ქართული ენის სათანადო დონეზე სწავლებისათვის, პროფესიულ პროგრამებში ინტეგრირდა ქართული ენის მოდული.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გისურვებთ წარმატებას!

კულტურის საერთაშორისო ცენტრის „მუზა“ და მერაბ ბერძენიშვილის სახლ-მუზეუმის შემოთავაზება

მოგესალმებით!

თქვენს დიდ მიზანს – მოსწავლეთა განათლების გაღრმავებასა და თვალსაწიერის გაფართოებას შესაძლოა, ხელი შეუწყოს „მუზაში“ დაგეგმილმა პროექტმა. გაგაცნობთ, თუ რას გთავაზობთ ჩვენი ცენტრი:

მოგეხსენებათ, თბილისში, კუს ტბის გზის დასაწყისში მდებარეობს მერაბ ბერძენიშვილის სახლ-მუზეუმი, რომლის ეზოში დაცულია ამ დიდი მოქანდაკის ძეგლების ორიგინალები (რუსთაველი, ქეთევან წამებული, ვაჟა-ფშაველა), ასევე ცნობილი ძეგლების ასლები (დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის და სხვა).

2016 წლის დეკემბრიდან მუზეუმის ეზო დამთვალიერებლებს იღებს. თბილისის მე-6 საავტორო სკოლისა და 128-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქ სტუმრობამ და ნამუშევრების ნახვამ. პედაგოგებმა პროექტები დაგეგმეს ამ მასალის გათვალისწინებით. თქვენს სკოლაშიც ქართული ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების პედაგოგებს, ასევე, კლასის დამრიგებლებს, შესაძლოა, სურდეთ სასკოლო სივრცის გარეთ, მუზეუმის ეზოში მოსწავლეთა გაყვანა და ძლიერი შთაბეჭდილების განცდა.

გარდა ამისა, „მუზაში“ ამოქმედებულია ლექტორიუმი, რომელსაც ასევე ესწრებიან და წარმატებით იყენებენ სკოლები კლასგარეშე საქმიანობაში.

ლექტორიუმი

უფროსკლასელთათვის (VII-XII კლ)
ხელოვნება-ისტორია-ლიტერატურა
კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა“ გთავაზობთ მერაბ ბერძენიშვილის მუზეუმის ეზოს დათვალიერებას და ლექტორიუმს შემდეგ თემებზე:

დავით აღმაშენებელი და დიდგორის ბრძოლა
(I დეკემბრიდან)

ა) სალექციო ნაწილი; ბ) დისკუსია; გ) მ. ბერძენიშვილის „დიდგორის მემორიალის“ სლაიდების ჩვენება; დ) მერაბ ბერძენიშვილის ეზო-მუზეუმის დათვალიერება.

საქართველოს ისტორია და ქართველი ხელოვანები
მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებაში
(I დეკემბრიდან)

ა) სათანადო სლაიდების ჩვენება; ბ) ანალიზი და კომენტარები; გ) მერაბ ბერძენიშვილის ეზო-მუზეუმის დათვალიერება.

შოთა რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ მხატვართა შემოქმედებაში
(იანვრიდან)

ა) სათანადო სლაიდების ჩვენება; ბ) ანალიზი და კომენტარები; გ) მერაბ ბერძენიშვილის ეზო-მუზეუმის დათვალიერება.

მითოსური მედეას სახე ხელოვნებაში
(იანვრიდან)

ა) სალექციო ნაწილი; ბ) დისკუსია; გ)სათანადო სლაიდების ჩვენება; დ) მერაბ ბერძენიშვილის ეზო-მუზეუმის დათვალიერება.

ჩვენი მისამართია: თბილისი, კუს ტბის გზა, N1.

თუ ინტერესი გაგიჩნდებათ, გთხოვთ დაუკავშირდეთ დირექციას დამატებითი ინფორმაციისთვის

დიდი პატივისცემით –

დავით გეგელაშვილი, „მუზის“ დირექტორი – 577 73 10 70

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადება

ბოლო პერიოდში, მედიაში და საზოგადოებაში ახალი სახელმძღვანელოების მომზადების საკითხები აქტიურად განიხილება. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო ყველა დაინტერესებულ მხარესთან მუშაობს, სამუშაო პროცესის მიღმა გარკვეული ძალები ცდილობენ თემის პოლიტიზებას. შესაბამისად, სამინისტრო მიიჩნევს, რომ აუცილებელია საზოგადოებამ ზუსტად იცოდეს პროცესის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი.

პირველ რიგში, გრიფირების წესი ეხება იმ სახელმძღანელოების მომზადების პროცესს, რომლებიც სკოლაში 2018/19 სასწავლო წლისთვის შევა. გრიფირება, ეს პირველი ეტაპია, როდესაც ყველა დაინტერესებული პირი ამზადებს სახელმძღვანელოს მაკეტს, რომელიც შეფასებას გადის დარგის საუკეთესო ექსპერტებისაგან შემდგარ სახელმწიფო კომისიაში და არჩევს რომელი წიგნის ხარისხი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სხვა მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია, რომ პირველად გრიფირების ისტორიაში, წიგნების დაბეჭდვამდე, მინიმუმ 3 თვის მანძილზე, ის ხელმისაწვდომი იქნება სპეციალისტებისა და მასწავლებლებისთვის. ავტორები ვალდებულნი იქნებიან აღმოფხვრან ამ პერიოდში გამოვლენილი ყველა ხარვეზი.

ამასთან, მიუხედავად გავრცელებული ინფორმაციისა, უფასო სახელმძღვანელოების პროგრამა არ გაუქმდება, ის მთავრობის მიერ გასულ წელს დამტკიცებული ოთხწლიანი გეგმის ნაწილია.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა გამომცემლებთან, რის შედეგადაც გათვალისწინებულ იქნა გამომცემლების იმ ნაწილთან განხილული საკითხები, რომლებიც არ გაემიჯნენ პროცესს და არ შეუშინდნენ კოლეგების ზეწოლას.

ა. შემუშავდა გრიფირების ახალი ფორმატი, რომელიც აპელაციის ახალ ინსტრუმენტებს, თანასწორობასა და მეტ გამჭვირვალობას გულისხმობს;

ბ. შემუშავდა საავტორო უფლებების დაცვის უპრეცედენტო მოდელი ჰოლოგრამის გამოყენებით;

გ. გაუქმდა შინაარსობრივი გრიფირების საფასური;

დ. შემუშავდა ტენდერის გამარტივებული მოდელი;

ე. გაუქმდა წინა გრიფირების ფარგლებში არსებული ჯარიმები;

ვ. აღმოფხვრილია რიგი საზღვარგარეთული გამომცემლობების პრიორიტეტი უცხოენოვან სახელმძღვანელოებზე;

ასეთი შეთანხმებების ფონზე, გამომცემელთა ნაწილი უკმაყოფილებას გამოხატავს შემდეგზე:

1. საქართველოს კანონმდებლობით, საბიუჯეტო სახსრებით რაიმეს შეძენა, მით უმეტეს, თუ საქმე რამდენიმე მილიონს ეხება, უნდა განხორციელდეს ტენდერით. ულტიმატუმი, სწორედ ტენდერის არჩატარებაზეა აქცენტირებული.

ნებისმიერი პრეტენზია, თითქოს ინტელექტუალურ საკუთრებაზე ტენდერის ჩატარება დაუშვებელია, მიუღებელია. რეალობა არის ის, რომ სწორედ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში შეჯიბრებითობის მოდელი არსებობს და ფართოდ გამოიყენება. შესაბამისად, ტენდერის პრინციპი, როგორც კანონისა და საზოგადოებრივი ინტერესების მოთხოვნა, რჩება უცვლელი.

2. მეორე კატეგორიული მოთხოვნა, რაზეც სამინისტრო გამომცემლობას არ ეთანხმება, გამომცემლების მიერ საჯარო სკოლებისთვის წიგნების სავალდებულო დაბეჭდვის მოთხოვნაა. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ფაქტორი, როგორც არგუმენტი, უკვე გამოირიცხა, რადგან ჰოლოგრამის გამოყენება ამ პრობლემას არსებითად ხსნის. შესაბამისად, რჩება მხოლოდ რიგი სუბიექტების სურვილი, აკონტროლონ პროცესი და არ დაუშვან კონკურენცია.

დღეს წიგნების წარმოება და მათი ბეჭდვა ორი განსხვავებული სეგმენტია. ამის დასტურია გამომცემლები, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი სტამბა და პირიქით, სტამბები, რომლებიც არ არიან გამომცემლობის ნაწილი. ამის დასტურია ელექტრონული წიგნებიც, რომლებიც საერთოდ არ იბეჭდება. ამ ფონზე, აუცილებელი არ არის, რომ საუკეთესო წიგნის შემქმნელმა, მისი ყველაზე კარგად დაბეჭდვაც შეძლოს. ამ შემთხვევაშიც, ჩვენ ვხედავთ გამომცემელთა ნაწილის სურვილს, არ დაუშვას ბაზარზე კონკურენცია და ახალი მოთამაშეების გაჩენა, რომელთა გამოჩენის პროცესს სამინისტრო ინტენსიურად შეუწყობს ხელს, რადგან წიგნებს ავტორები ქმნიან და არა გამომცემლები. უკვე დაწყებულია ავტორთა ინტენსიური ტრენინგი, რომელიც წარმატებით ვითარდება. ასევე, პირველად შემოდის წიგნების პერიოდული გაუმჯობესების ვალდებულება.

რაც შეეხება თანხებს, სწორედ გამომცემლებთან კომუნიკაციის საფუძველზე, წინა გრიფირებასთან მიმართებაში დაახლოებით ორჯერ არის გაზრდილი გამომცემლობის (ბეჭდვის გარეშე) საპროგნოზო ღირებულება და დაახლოებით 7.5 მილიონ ლარს შეადგენს. ვვარაუდობთ, რომ კონკურენცია ამ თანხას შეამცირებს. ამასთან, ყველა თეთრი, რომელიც ზედმეტად არ იქნება გადახდილი, მიმართული იქნება სწავლის პროცესის გაუმჯობესების სხვა მიმართულებებზე – თვალსაჩინოებებზე, ლაბორატორიებზე, ყველაფერზე, რაც წიგნთან ერთად თანამედროვე განათლების აუცილებელი ნაწილია.

შესაბამისად, სრულიად ნათელია, რომ სამინისტრო, მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, ყველა აუცილებელ ნაბიჯს დგამს, რათა მოსწავლეებმა 21-ე საუკუნის მოთხოვნათა შესაბამისი განათლება მიიღონ.

ახალი პროექტი

ამერიკული ფილმების ჩვენება

მაკა ყიფშიანი

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მარჯორი და ოლივერ უორდროპების სახელობის ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის ინიციატივით, ახალი ერთობლივი პროექტი – „American Film Showcase“ დაიწყო.

პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დახმარებით, 40-ზე მეტ ქვეყანაში ხორციელდება და საზოგადოებას, დამოუკიდებელი რეჟისორების წარმატებული, თანამედროვე ფილმებისა და ანიმაციების მეშვეობით, ამერიკულ კულტურასა და საზოგადოებას აცნობს. თვეში ერთხელ, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ამერიკელი სტუმარი, საქართველოში აშშ-ს საელჩოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი მოლი რიძინსკი წარმოგიდგენთ თემატურ ფილმს. ჩვენების შემდეგ, მკითხველებისა და მაყურებლების მონაწილეობით, იმართება დისკუსია. პროექტის ფარგლებში, ნაჩვენები იქნება როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური ფილმები.

22 მარტს, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, პროექტის ფარგლებში, გაიმართა პირველი ფილმის – „CodeGirl“ ჩვენება, რომელიც ქალთა ისტორიის თემას ეძღვნება და მოგვითხრობს გოგონებზე, რომლებიც საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით მუშაობენ. აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში დასაქმებულთა 80% მამრობითი სქესისაა. ფილმი მოგვითხრობს 60 ქვეყანაში, მოლდოვას სოფლიდან ბრაზილიასა და ამერიკის დედაქალაქებამდე, მცხოვრები გოგონების პროფესიული განვითარებისა და ცხოვრების შესახებ, აგრეთვე, იმ პროექტების შესახებ, რომლებიც მობილური აპლიკაციების მეშვეობით მათი გარემოს განვითარებას ემსახურება.

მსოფლიოში, უკვე რამდენიმე წელია, უფროსკლასელთათვის ტარდება მობილური აპლიკაციების ავტორ გოგონათა ჯგუფების კონკურსი „Technovation Challenge“ (ტექნოვაციური გამოწვევა), რომელიც ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, გამოსცადონ თავიანთი შესაძლებლობები და მობილური ტელეფონის აპლიკაციის საკუთარი ვარიანტი შექმნან. დიდი ხანი არ არის, რაც კონკურსს საქართველოც შეუერთდა. ყოველ წელს გოგონები, მსოფლიოს მასშტაბით, მონაწილეობენ კონკურსში, რომლის ფარგლებშიც, ქმნიან ტელეფონის აპლიკაციას რეგიონული პრობლემების გადასაჭრელად. პროექტი „ტექნოვაციური გამოწვევები“ მიზნად ისახავს გოგონების ხელშეწყობას საინფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლასა და განვითარებაში.

მოლი რიძინსკი, საქართველოში აშშ-ს საელჩოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი: *„სასიხარულოა, რომ პროექტი „American Film Showcase“ ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით დავიწყეთ. ჩვენ დაგვიკავშირდა ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენელი* ***მაია სიმონიშვილი*** *და გვთხოვა, ერთობლივი პროექტი დაგვეწყო. ჩვენ ეს პროექტი ამოვარჩიეთ. „American Film Showcase“ ამერიკის საელჩოს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის და სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტია, რომლის ფარგლებშიც, ყოველ წელს, შეგვიძლია უახლესი 50 წარმატებული ფილმის ჩვენება. საგანმანათლებლო ინსტიტუტებში არა მხოლოდ ამ ფილმებს ვაჩვენებთ, არამედ მათი თემატიკის ირგვლივაც ვსაუბრობთ. ეს თემები თანამედროვე ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ეხება.*

ფილმების ჩვენების გარდა, პროექტი ქართველი რეჟისორების დახმარებას ითვალისწინებს. ვთანამშრომლობთ დოკუმენტური ფილმების ფესტივალთან და ეკონომიკის სამინისტროსთან, რომელიც ახალგაზრდა კინორეჟისორებს ეხმარება. ძალიან მიხარია, რომ ასეთ მნიშვნელოვან ფესტივალთან ვთანამშრომლობთ.

რეჟისორებისთვის ვაწყობთ ვორკშოპებს, ვასწავლით უახლესი ტექნიკის გამოყენებას და ამავე ფილმებს სასწავლო მიზნითაც ვიყენებთ. ჩვენების მთავარი მიზანია, საზოგადოებას გავაცნოთ თანამედროვე ამერიკული ცხოვრება და საზოგადოება, განვიხილოთ მწვავე პრობლემები, მათი გადაჭრის გზები და გავავლოთ პარალელები ადგილობრივ მოსახლეობასთან, გამოცდილების გაზიარების მიზნით.

დღეისათვის, ჩვენთვის მნიშვნელოვანი თემებია: ქალთა პრობლემები, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება, სიცოცხლისა და გარემოს დაცვა, სიკვდილიანობა, ასევე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების თემატიკას. ამ თემებთან ერთად, განვიხილავთ, როგორ შეიძლება ფილმი დაგვეხმაროს ამ კონფლიქტების მოგვარებაში.

ფილმის ჩვენებაზე დასწრება შეუძლიათ როგორც სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეებს, ისე სტუდენტებს და იმ ადამიანებს, რომლებსაც კონკრეტული თემები აინტერესებთ, მოკლედ, 14 წლის ასაკიდან ყველა დაინტერესებულ პირს, მაგრამ არის თემები, სადაც განხილულია წინააღმდეგობრივი საკითხები, რომელიც ასაკთან მიმართებაში სიფრთხილესაც მოითხოვს.

პირველი ჩვენებისთვის შევარჩიეთ ფილმი „CodeGirl“, რომელიც მსოფლიოში ძალზე პოპულარულია. ეს ფილმი, გამოშვების დღეს, გუგლის საიტზე იდო და ასე აღმოვაჩინეთ. ჩვენი საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი ***ქორთნი ოსტრიანი*** *დაინტერესდა ამ ფილმით და პროგრამაში ჩავრთეთ. ფილმში ნაჩვენებია, თუ რა რთულია კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მუშაობა, განსაკუთრებით ქალებისთვის არა იმიტომ, რომ ისინი ტექნიკას ვერ სწავლობენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან. აღსანიშნავია, რომ გოგონების ყველა ჯგუფი, რომელიც კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მოღვაწეობს, როგორც წესი, წარმატებულია. ეს ფილმი შესაძლებლობას გაძლევთ, გაეცნოთ, როგორ უხარიათ თავად მონაწილეებს ეს საქმიანობა, პროექტების მომზადება და საზოგადოებისთვის საინტერესო სიახლეების შეთავაზება.*

ამ ფილმის ერთ-ერთი დიდი მიღწევა ისიც არის, რომ გასულ წელს, მისი ჩვენების შემდეგ, გოგონების გუნდმა სამცხე-ჯავახეთიდან წარმოადგინა საკუთარი აპლიკაციები 2016 წლის საერთაშორისო კონკურსში და გაიმარჯვა კიდეც ისინი ერთ-ერთი წარმატებული სათამაშო აპლიკაციის ავტორები არიან. ძალზე მოხარულები ვართ, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად, ეს პროექტი რომ დავიწყეთ და მრავალ საინტერესო თემატიკას შემოგთავაზებთ.“

მაია სიმონიშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი, ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის კურატორი: *„დიდი მადლობა ჩვენი ახალი პროექტით დაინტერესებისთვის. ეროვნული ბიბლიოთეკა და ჩვენი დარბაზი ცდილობს, პერიოდულად, საინტერესო სიახლეები შესთავაზოს ჩვენს მკითხველებსა და ინგლისური ენის შესწავლით დაინტერესებულ მოქალაქეებს. როგორც იცით, უკვე რამდენიმე თვეა, ინგლისური ენის უფასო, საკვირაო გაკვეთილებს ვატარებთ, ბატონი* ***ჯედ გურლის*** *ხელშეწყობით.*

შარშანწინ, ერთი სემესტრის განმავლობაში, ვაჩვენებდით სხვადასხვა ფილმებს, ახლა კი გადავწყვიტეთ, საქართველოში ამერიკის საელჩოს ხელშეწყობით, კიდევ ერთი სასარგებლო პროექტი დაგვეწყო. ამერიკის საელჩოს კულტურის ატაშეს, ***დემიენ ვომპლერისა*** *და საელჩოს საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელის,* ***ნანა შუღლაძის*** *ხელშეწყობით, დავიწყეთ პროექტი, რომელიც მკითხველებსა და მაყურებლებს დაეხმარება აქტუალური პრობლემების უცხო პერსპექტივიდან გააზრებაში, ახალი მეთოდების მოძიებაში და საკუთარ შემოქმედებით საქმიანობაშიც. მკითხველებს შესაძლებლობა აქვთ, თვითონაც შემოგვთავაზონ თემები, რომლებიც აინტერესებთ. დღევანდელმა ფილმმა ნათლად დაგვანახა, რამდენად საინტერესოა გოგონებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიებში მუშაობა და სხვა მსგავსი სიახლეები.*

ასე რომ, თვეში ერთხელ, ველით ჩვენს მკითხველებს ფილმის ჩვენებისა და შემდგომი დისკუსიებისთვის. დიდი მადლობა საელჩოს წარმომადგენელს, ქალბატონ მოლის საინტერესო პროექტის შემოთავაზებისთვის.“

მომდევნო ჩვენება 19 აპრილს, 18:00 საათზე, ეროვნული ბიბლიოთეკის აუდიტორიაში გაიმართება.

ინფორმაცია

ქართველ ექსპერტებს EFQM-ის სერტიფიკატები გადაეცათ

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და გერმანიის თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, ქართველ ექსპერტებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) აკრედიტაცია, აკრედიტებული შემფასებლებისა და ტრენერების სტატუსი მიენიჭათ და სერტიფიკატები გადაეცათ.

სულ დაჯილდოვდა რვა ექსპერტი, რომელთა შორის ხუთი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომელია, ხოლო დანარჩენი ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის წარმომადგენლები არიან.

აკრედიტებულ ტრენერებსა და შემფასებლებს უფლება ეძლევათ, საქართველოს მასშტაბით, ხელი შეუწყონ ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) მოდელის დანერგვას სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში.

ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) პარტნიორი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 500-მდე საგანმანათლებლო დაწესებულება, კომპანია თუ ორგანიზაციაა. მათ შორის ისეთი ცნობილი ბრენდები, როგორებიც არიან – BMW, BOSCH, PHILIPS, VOLKSWAGEN და VOLVO.

ხარისხის მართვის ევროპული ფონდის მიზანია, ხელი შეუწყოს ორგანიზაციებს, გააუმჯობესონ საკუთარი საქმიანობა EFQM მოდელის – „გზა წარმატებისაკენ“ – გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს მართვის კომპლექსურ ჩარჩოს.

ამ მიზნით, 2015 წლის დასაწყისში, შეირჩა სამი კერძო (ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია – BPA, საქართველოს ბიზნესის აკადემია – SBA, საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგია“) და სამი სახელმწიფო (საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“, საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“ და საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“) პროფესიული დაწესებულება, რომლებმაც EFQM-ის კონსულტანტის, დოქტორ **სიუზან კალდშმიტის** დახმარებით, განახორციელეს თვითშეფასებები, გამოკვეთეს გასაუმჯობესებელი საკითხები და მათზე დაყრდნობით დაგეგმეს შიდა ხარისხის მართვის გასაუმჯობესებელი პროექტები. 2016 წელს, „სრულყოფის მოდელის“ დანერგვის პროცესში მიღწეული წარმატებისთვის, მათ სერტიფიკატები გადაეცათ.

2016 წლიდან, ხარისხის მართვის მოდელის დანერგვა ასევე დაიწყეს პროფესიულმა კოლეჯებმა: „აისი“, „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“, „ფაზისი“, „ბლექსი“ და „იკაროსი“. აღნიშნულმა კოლეჯებმა EFQM ვალიდაცია 2017 წლის ბოლომდე უნდა გაიარონ, რომლის პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში, ადმინისტრაციასთან ერთად, ჩართული იქნება დაწესებულებების ყველა პედაგოგი.

განათლებლის ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიზანია, გახდეს EFQM-ის პარტნიორი საქართველოში. სწორედ ამ მიზნით, კონკურსით შერჩეულ ექსპერტებს, ხარისხის მართვის ევროპული ფონდის მოწვეულმა ექსპერტმა, დოქტორმა სიუზან კალდშმიტმა, 2016 წლიდან, ეტაპობრივად ჩაუტარა ტრენინგები.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, 2016 წელს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა EFQM-ის შიდა ხარისხის მართვის მოდელის დანერგვის პროცესი წარმატებით გაიარა და ხარისხის მართვის ევროპული ფონდის სერტიფიკატი გადაეცა.

გამოცდილება

ანალიტიკური კითხვის სტრატეგიები დიდტანიან ნაწარმოებზე მუშაობისას

მოსწავლეები საპროგრამო ნაწარმოებებს, დამეთანხმებით, ხალისით არ სწავლობენ. უმეტეს შემთხვევაში, ეს პროცესი მათთვის არასასიამოვნოა. ამას ბევრი მასწავლებელი თუ მოსწავლე აღნიშნავს. პრობლემა ახალი სულაც არ არის, მაგრამ თავის აქტუალურობას მაინც არ კარგავს. დღეს, ვფიქრობ, მოსწავლეები უფრო მეტ მხატვრულ ლიტერატურას კითხულობენ, ვიდრე ადრე. ის, რომ წიგნებს კითხულობენ, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ უკეთესი იქნება, თუ სნორადაც წაიკითხავენ და მიიღებენ იმის მაქსიმუმს, რისი მოცემაც შეუძლია კონკრეტულ ნაწარმოებს.

ცნობილია, რომ კითხვის ოთხი ტიპი არსებობს:

ელემენტარული – ამ უნარს ბავშვები დაბალ კლასებში იძენენ და ეს ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ წაიკითხონ სიტყვები, გაიგონ მათი მნიშვნელობები და მიჰყვნენ ძირითად სიუჟეტს.

ინსპექციური – კითხვის ამ ტიპს ვუწოდებთ ზედაპირულს. ბავშვები ცდილობენ, ზერელედ გადაიკითხონ წიგნი, ფრაზები ამოიკითხონ და მათზე დაყრდნობით გაიგონ ავტორის მთავარი სათქმელი. ამ ხერხს იყენებენ მაშინ, როდესაც დიდი სასწავლო ტექსტია წასაკითხი და დრო არასაკმარისია.

ანალიტიკური – როდესაც ღრმად ეფლობა მოსწავლე კითხვაში. კითხულობს ნელა და ყურადღებით, აკეთებს ჩანაწერებს, ეძებს სიტყვებს, სიმბოლოებს, რომელთა აზრსაც იგებს და ცდილობს, შეძვრეს ავტორის გონებაში, რათა უკეთ გაიგოს, თუ რისი თქმა სურდა მას.

გამოკვლევითი – ამ ტიპს, ძირითადად, იყენებენ მწერლები და პროფესორები. ერთდროულად ისინი კითხულობენ რამდენიმე წიგნს ერთ თემატიკაზე, იმის ძებნაში, რომ დაამტკიცონ ან უარყონ თავიანთი თეორია კონკრეტულ საკითხში. ეს ხერხი სპეციფიკურია და არ გულისხმობს კითხვით სიამოვნების მიღებას.

ჩვენ უნდა განვიხილოთ მეორე და მესამე ტიპი, როგორც აქტუალური და გამოსადეგი უფროსკლასელთათვის.

ინსპექციური კითხვა

ამ ტიპის კითხვა გამოიყენება მრავალ სიტუაციაში. მაგალითად, მაღაზიაში გვჭირდება შევავფასოთ წიგნი და გადავწყვიტოთ, ვიყიდოთ თუ არა. ამისათვის დაგვჭირდება ტექსტის ზედაპირული კითხვა და დიდი მოცულობის ჩქარი გააზრება. ამისათვის უნდა მოვიქცეთ შემდეგნაირად:

წავიკითხოთ დასახელება და შევისწავლოთ წიგნის ყდა.

ეს რჩევა მარტივია, მაგრამ ძალიან ბევრი უგულებელყოფს და თავიდანვე გადადის წიგნის შინაარსზე. არადა, ყველასათვის ცნობილია, რომ ავტორი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დასათაურებასა და ყდის გაფორმებას, რადგამ მათში დებს წიგნის მთავარ აზრს.

განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება წიგნის პირველ ფურცელზე.

სარჩევი, წინასიტყვაობა, პროლოგი – ეს გვერდები ძალიან დაგვეხმარება. ისინი გვიყვებიან მთელ წიგნზე, მიუხედავად იმისა, ეს წიგნი მრავალგვერდიანი „ვეფხისტყაოსანია“ თუ სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწულივით“ ციცქნა.

გადახედეთ თავების დასახელებასა და ბოლო ხაზებს.

განსაკუთრებით ეს ეხება საქმიან ან სამეცნიერო ლიტერატურას, რომელშიც თავიდანვე შეგვიძლია გადავიდეთ ბოლო აბზაცზე, რათა გავიგოთ დასკვნები. და თუ დასკვნა დაგვაინტერესებს, შევუდგებით მისი მტკიცებულებების კითხვას.

ბავშვებს უნდა ვასწავლოთ (როცა ისინი ინტერნეტში ეძებენ წიგნს), რომ კარგი იქნება, წინასწარ გაეცნონ ამ წიგნის შესახებ დაწერილ კომენტარებსა და შთაბეჭდილებებს. თუმცა მათზე დაყრდნობაც სარისკოა.

ამ რამდენიმე რჩევის გათვალისწინებით მარტივად შევძლებთ წიგნის შერჩევას.

რაც შეეხება სასკოლო სავალდებულო დიდტანიანი ნაწარმოებით მოსწავლის დაინტერესებას, გამოგვადგება ანალიტიკური კითხვის მეთოდი, რადგანაც ამ ხერხის გამოყენება მხოლოდ მაშინ ღირს, თუ გვსურს მოსწავლემ მეტი მიიღოს კითხვისგან. მოდით ვნახოთ, როგორ შეგვიძლია მივიღოთ მაქსიმუმი იმისგან, რასაც ვკითხულობთ.

დამეთანხმებით, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სწავლება საკმაოდ რთული პროცესია, სხვადასხვა მიზეზის გამო. ერთ-ერთი მათგანი მისი გრანდიოზულობაა. ამიტომ სწორად მიმაჩნია მთავარი აქცენტი ტექსტის ორგანიზებულად შესწავლაზე გავაკეთოთ. მოსწავლეებს შეიძლება შემდეგი სტრატეგიები შევთავაზოთ:

❖ **დასაწყისისთვის მიიღეთ მეტი ინფორმაცია ავტორის პიროვნებაზე. უბრალო ინფორმაციის მოძიებამ შეიძლება ნათელი გახადოს ნაწარმოების დედააზრი.**

1. რუსთაველის ზედწოდების, სახელისა და პორტრეტის შესახებ (წყაროები, ვარაუდები).
2. ავტორის ბიოგრაფია: რუსთაველის ხალხური ბიოგრაფიული ამბები, რუსთაველისადმი მიძღვნილი ტურნირი, რომელიც გაიმართა „ვეფხისტყაოსნის“ დასრულების შემდეგ, სტუმრად კახაბერთან.
3. ზოგიერთი ცნობა რუსთაველის ვინაობის შესახებ თვითონ პოემიდან.
4. რატომ არ მოგვეპოვება სხვა ნაწარმოები რუსთაველისა?

❖ **დაუბრუნდით რთულ მომენტებს**

წაიკითხეთ სწრაფად მთლიანი თავი პოემიდან. ასეთ კითხვას ადლერი „ზედაპირულს“ უწოდებს, ანუ ისეთ კითხვას, რომლის დროსაც არ უღრმავდებიან მოსწავლეები ყველა დეტალს, უბრალოდ ეცნობიან ეპიზოდის „შიგთავსს“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ როდესაც ხვდებათ რთული ან მათთვის გაუგებარი ადგილი, კი არ ჩქარობენ მაშინვე გარკვევას, არამედ უბრალოდ ინიშნავენ გაუგებარ ადგილს და კითხვას აგრძელებენ. როდესაც დაასრულებენ ერთი თავის წაკითხვას, აუცილებლად უბრუნდებიან და მაქსიმალური ყურადღებით ცდილობენ გაშიფრონ. ზოგიერთი ადგილის რამდენჯერმე წაკითხვაც მოუწევთ და დასასრულ, არ უნდა ჰქონდეთ არც ერთი ადგილი გაურკვეველი. მხატვრული ტექსტის ასახსნელად საჭიროა მისი გაანალიზება. თუ ტექსტი შორეულ წარსულშია შექმნილი, საჭიროა სიტყვებისა და გამოთქმების განმარტება, მასთან დაკავშირებული ცოდნის აქტუალიზაცია ე.წ. დეკოდირების პრინციპი, რომლის სქემაც ასე გამოიყურება:

ტექსტის ავტორი სათაური	გამოსახვის საშუალებათა (ენობრივი მხარე, სტილი, სხვადასხვა ენობრივი ნიუანსი) კოდი	ჟანრული კოდი	კულტურული კოდი	ფსიქოლოგიური კოდი	თქვენ მიერ დამატებული კოდი

❖ **მოსწავლეებს უნდა დავავალოთ, თითოეული თავის შესწავლის შემდეგ, დაწერონ მოკლე რეზიუმე.**

მუშაობის დასრულების შემდეგ კონსპექტში მოკლედ ჩამოაყალიბონ ძირითადი შთაბეჭდილებები და მიღებული ახალი ცოდნა. ამის გაკეთება მარტივია შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემით. იდეალური იქნება პასუხების ჩამოწერა:

1. რაზეა აღნიშნული თავი?
2. ზოგჯერ იმდენად ვეფლობით ჩახლართულ სიუჟეტში ან გაუგებარი სიტყვების კორიანტელში, რომ სულ გვავიწყდება ავტორის მთავარი აზრი. ამიტომაც კარგია მივაჩვიოთ ისინი, რამდენიმე წინადადებით შეძლონ ნამუშევრის მთავარი სათქმელის გადმოცემა.

მაგალითად ავიღოთ პოემიდან ერთ-ერთი თავი: „ტარიელისაგან თავის ამბის მბობა, ოდეს ავთანდილს უამბო“.

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. ინდოეთის სამეფოსა და მეფის დახასიათება. მოცემული დახასიათება შეადარეთ როსტევანისას და გამოიტანეთ დასკვნა, თუ რატომ, რა გზით აღწევს პოეტი ვრცელი შინაარსის მოკლედ გამოხატვას.
2. სარიდანი. რა განსხვავებული თვისებით ხასიათდება ტარიელის მამა?
3. ფარსადანის სამეფო კარისა და ოჯახური მდგომარეობის იდილიური სურათი.
4. ნესტანის დაბადება და აღზრდა.
5. ტარიელის მდგომარეობა სამეფო კარზე. მეფე-დედოფლის დამოკიდებულება მის მიმართ.
6. „ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყივ ავისა მქნელია.“
7. დავალება: ამოიცანით, მოცემულ ეპიზოდში როგორ აირეკლა რეალური სინამდვილე. თქვენი აზრი დაასაბუთეთ ისტორია-ლიტერატურიდან მოხმობილი ფაქტებით.

ასევე საინტერესო იქნება თუ დავავალებთ მოსწავლეებს, პოემაზე მუშაობისას, აღწერონ ქმედებები, ფაქტები და აზრები არის თუ არა დღეს გამოსადეგი. როგორია მათი დამოკიდებულება წაკითხულის მიმართ. ეთანხმებიან თუ არა ავტორის აზრებს, თუ თვლიან, რომ ის ცდება. „დამარწმუნებელი სამკუთხედის“ გამოყენებაც კარგი სტრატეგია იქნებოდა.

მხატვრული ტექსტები წარმოადგენენ ძლიერ ინსტრუმენტებს საკუთარი თავისა და სამყაროზე შეხედულებების შეცვლისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თუ წაკითხულმა ტექსტმა (პოემიდან მონაკვეთმა) საერთოდ არაფერი მისცა, მაშინ დრო დაუკარგავს მოსწავლეს. რეზიუმეში ჩვენ ზუსტად განვსაზღვრავთ მოსწავლის ცოდნას ამ მიმართულებით.

მართალია, ასეთი სკრუპულოზური მიდგომით ძნელია კითხვა და, სავარაუდოდ, ბევრისთვის ანალიტიკური კითხვა დამღლელი იქნება. სამაგიეროდ მოსწავლეები მიხვდებიან, რომ მათ მიერ დახარჯული დრო უკვალოდ არ გამქრალა და მიიღებენ მაქსიმალურ ცოდნას ნაწარმოებთან გატარებული დროისგან.

ნანა თურქაძე
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ეროვნული სასწავლო გეგმა;
2. ნ. რუხაძე – „შოთა რუსთაველი სკოლაში“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი-1992.

ᲙᲕᲐᲚᲘ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲕᲘᲐᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘ

პროექტ „თავისუფალი გაკვეთილის“ (ხელმძღვანელი – ქიმიის პედაგოგი **ქეთი ქიქოძე**) ფარგლებში, კერძო სკოლა ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“ მოსწავლეებმა ქართველი ავიკონსტრუქტორების მიერ განვლილი გზა შეისწავლეს. წინა ნომერში ალექსანდრე ქართველიშვილის შესახებ გესაუბრეთ, დღეს მიხეილ გრიგორაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას წარმოგიდგენთ.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

1927 წელს ამერიკაში ჩასული ალექსანდრე ქართველიშვილი გახლდათ მიხეილ გრიგორაშვილის თანაშემწე, სევერსკისთან ერთად შექმნილ ფირმაში. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ამ ორი გენიოსი ავიაკონსტრუქტორის ერთად წარმოდგენა.

ამერიკის და კანადის ავიამრეწველობაში დიდი წვლილი შეიტანა ქართველმა კონსტრუქტორმა მიხეილ გრიგორაშვილმა. სამწუხაროდ, ის რუს კონსტრუქტორად ითვლებოდა და ქართულ ემიგრაციაშიც კი ნაკლებად იყო ცნობილი. ქართველებმა ის საკმაოდ გვიან, 2002 წელს, გაიცნეს ვლადი მიხეევის წიგნის მიხედვით დაწერილი სტატიებით.

მიხეილ გრიგორაშვილი 1888 წელს დაიბადა რუსეთის ფედერაციის უკიდურესი სამხრეთით მდებარე, დაღესტანში მნიშვნელობით მეორე ქალაქ დერბენდში, სადაც მამამისი ლეიტონ გრიგორაშვილი საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორად მუშაობდა. დედამისმა მიხეილი და მისი და ნინო სანქტ-პეტერბურგში წაიყვანა კარგი განათლების მისაღებად.

მიხეილი საგზაო-საინჟინრო ინსტიტუტში ავიაციით დაინტერესდა და გაზეთ „აერომობილის“ რედაქტორი გახდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სხვებთან ერთად, დააარსა „რუსული საიმპერატორო აეროკლუბი“. 1911 წელს, ცოდნის გასაღრმავებლად, საფრანგეთში, პიშოფის საზაფხულო სკოლაში გაემგზავრა, მიიღო პილოტის დიპლომი, რუსეთის ერთ-ერთი პირველი მფრინავი გახდა და წარმატებული ფრენებიც მოაწყო. პირველად, საფრანგეთში, ეიფელის ლაბორატორიაში, ააწყო თავისი თვითმფრინავი, რომელსაც „РОССИЯ А“ უწოდა, ხოლო მოგვიანებით, გაუმჯობესების შედეგად – „РОССИЯ Б“.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სჩეტინინის ავიასამშენებლო ქარხანაში ინჟინრად დაიწყო მუშაობა, ხოლო 1915 წელს მთავარ კონსტრუქტორად გადავიდა პეტროგრადის ავეჯის ქარხანაში. გრიგორაშვილმა „მელცერში“ თავისი სისტემის ხრახნები დაამზადა და რუსეთის ფლოტში გამოსცადა, როგორც ჩანს, ისინი უცხოურ ხრახნებზე უკეთესი აღმოჩნდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მიხეილს პარიზში მოუსწრო. სამშობლოში 1918 წელს ჩამოვიდა ეროვნული საავიაციო მრეწველობის შესაქმნელად, მაგრამ არც სახსრები და არც კადრები მაშინდელ საქართველოში არ არსებობდა. ამიტომ მუშაობა დაიწყო გზათა სამინისტროში ინჟინრად. თავისუფლებამოპოვებულ სამშობლოში დიდხანს არ მოუწია ცხოვრება, რადგან 1921 წელს, ოკუპაციის გამო, ამერიკაში ემიგრაციაში წავიდა. თავდაპირველად, როდაილენდის შტატის ერთ-ერთ პატარა ფირმაში საჰაერო ხრახნების კონსტრუქტორად მუშაობდა. მალე, სხვა რუს ემიგრანტ ავიატორებთან ერთად, ისიც, GREGOR-ის გვარით, დეიტონში (აიდაჰოს შტატში მდებარეობს), შეერთებული შტატების საჰაერო სამსახურის სამეცნიერო კვლევით და საცდელ-საფრენოსნო ცენტრში გადავიდა ინჟინერ-კონსტრუქტორად, სადაც ზედიზედ შექმნა თვითმფრინავთა მოდელები. 1923 წელს გახდა ნიუ-იორკის კუნძულ ლონგ-აილენდზე, გუარდიან სიტიში განლაგებული უმსხვილესი საავიაციო ფირმის კონსტრუქტორი. იქ სწრაფ საბრძოლო თვითმფრინავთა მთელი ოჯახის დამუშავებაში მონაწილეობდა. გახდა მთავარი კონსტრუქტორი და ერთ-ერთი დამაარსებელი ფირმის „BED AIRCRAFT“, ასევე, შექმნა ბევრი მრავალფუნქციური კომერციული თვითმფრინავი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

1926 წელს ამერიკის მოქალაქეობა მიიღო და კანადური ფირმის Car and Foundry მიწვევით, ონტარიოში, ფორტ-უილიამსში გადასახლდა. ხელისუფლება იქ ავიამშენებლობის აწყობას აპირებდა, ამიტომ გრიგორაშვილს თავისი პროექტების რეალიზების საშუალება მისცეს. კანადაში თავის ცოლთან, ლი კლარკთან ერთად გადასახლდა. დაამთავრა ადრე დაწყებული Meipl Lif. ამასთან, ამზადებდა თვითმფრინავების სერიულ წარმოებას ამერიკული ლიცენზიით. ამდენად, იგი კანადური საავიაციო მრეწველობის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახდა.

1932 წელს პროკოფიევ-სევერსკის ახალი ფირმის მთავარი კონსტრუქტორის თანაშემწის ადგილი დაიკავა. მონაწილეობდა „SEV-1“, „SEV-2“, „SEV-3“-ის მოდიფიკაციების შექმნაში.

მოგვიანებით, სევერსკისთან ურთიერთობის გაფუჭების გამო, დატოვა კომპანია და ლონგ-აილენდზე თავისი ფირმა „GREGOR AIRCRAFT“დააარსა. დააპროექტა ორიგინალური მსუბუქი თვითმფრინავი „GR-1“.

განაგრძობდა კანადური ავიამრეწველობისთვის თვითმფრინავების კონსტრუირებას. 1944 წელს, სტრუკოვის მიწვევით, ახალ ფირმაში – „GEIZ AIRCRAFT“-ში მთავარი კონსტრუქტორის მოადგილის თანამდებობა დაიკავა. 1953 წელს

სტრუკოვის ფირმა ორ ნაწილად გაიყო – „CEIZ“ და „STRUKOR AIRCRAFT“. მიხეილი კი პირველში „CEIZ“-ში დარჩა. 1954 წლიდან სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს მისი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი C-123, რომელსაც შეეძლო ძალიან დაბალ სიმაღლეზე ფრენა დახსნილი ლუკით, დაჯდომის გარეშე ტვირთის გადმოქაჩვა და სიმაღლის სწრაფად აღება. 1963 წელს იგი გააუმჯობესეს – აღჭურვეს 2 შიდაწვისა და ტურბო-რეაქტიული ძრავებით.

მიხეილ გრიგორაშვილი გამომგონებელია ვერტმფრენთა საჰაერო ხრახნების, პირველი ტურბო-რეაქტიული სამხედრო თვითმფრინავების. მისი სახელგანთქმული მოდელებიდან აღსანიშნავია გარდენ-სიტიში დაპროექტებული „ROYAL BIRD“ (სამეფო ფრინველი) და პირველი ჰელიკოპტერი. იგი, ასევე, ავტორია მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ავიაგამანადგურებელ-ბიპლანისა „გრეგორ FDB-1“.

1940-იან წლების ბოლოდან მძიმედ დაავადებული ავიაკონსტრუქტორი 1953 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ნიუ-ჯერსის შტატში.

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲣᲜᲒᲘᲐᲫᲔ
კერძო სკოლა ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“
IX კლასის მოსწავლე

P.S. როგორც წინა ნომერში ვწერდით, რეჟისორ-მკვლევარ რამაზ ბლუაშვილთან შეხვედრა რომ არა, ბევრს ვერაფერს გავიგებდით „დიდი ქართველის“ (მას დღემდე ასე მოიხსენიებენ „ნასასა“ და ამერიკულ სამხედრო ელიტაში), ალექსანდრე ქართველიშვილის შესახებ.

სამწუხაროდ, ბატონ მიხეილ გრიგორაშვილთან დაკავშირებით ბატონი რამაზიც ბევრს ვერაფერს გვეუბნება, რაც ჩვენი კვლევების შემდგომ გაგრძელებას განაპირობებს.

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ

ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲔᲑᲘ

აბაშის მუნიციპალიტეტის ნოღოხაშის საჯარო სკოლაში უჩვეულო მზადება იყო. ეს დღე საყოველთაოდ აღიარებულ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების (მზის შვილები) საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. სპორტულ დარბაზში სკოლის პედაგოგის, **ბელა კუჭუხიძისა** და ჭადრაკის მასწავლებლის, **თამთა ძველაიას** ერთობლივი პროექტი – „მხიარული სტარტები“ განხორციელდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ფასილიტატორი მასწავლებელი ბელა კუჭუხიძე მრავალი პროექტის ავტორია, მაგრამ ეს ღონისძიება ყოველმხრივ გამორჩეული გამოვიდა. მასში მონაწილეობდა ჩვენი სკოლის სსსმ მოსწავლე და მისი სპეციალური მასწავლებელი **ნაზი ქირია**. ღონისძიებას ბევრი გულშემატკივარი ესწრებოდა: მასწავლებლები, მოწვეული სტუმრები, საგანგებოდ შერჩეული ჟიური, მოსწავლეები და მათი მშობლები.

I-IX კლასის მოსწავლეებისგან შემდგარი ორი გუნდი დარბაზში მუსიკის თანხლებით შემოვიდა. თითოეულ გუნდს მოუძღოდნენ კაპიტნები. გუნდი „შევარდენის“ კაპიტანი IX კლასის მოსწავლე **სანდრო ჭანტურაია** იყო, ხოლო გუნდი „მიმინოს“ კაპიტანი – VIII კლასის მოსწავლე **საბა ჭანტურაია**.

პროექტი სპორტული და ინტელექტუალური აქტივობებისგან შედგებოდა. თითოეული აქტივობის განხორციელების შემდეგ ცხადდებოდა ქულების რაოდენობა. გუნდები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს. შთამბეჭდავი იყო სსსმ მოსწავლის აქტიურობა და სიხარული, რომელსაც თანაგუნდელებთან ერთად ინაწილებდა.

დამთავრდა შეჯიბრი. მონაწილეებს მიმართა ჟიურის წევრმა და სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ჯილდა ცომაიამ**. მან მოკლედ ისაუბრა ჩატარებული ღონისძიების შესახებ, „მხიარული სტარტები“ წარმატებულად შეაფასა და მადლობა გადაუხადა პროექტის ხელმძღვანელს და პედაგოგებს – **თამთა ძველაიას** და **გოგი ჯანჯღავას**. მონაწილე გუნდის წევრები სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

ᲛᲐᲚᲘᲜᲐ ᲒᲐᲒᲔᲚᲐᲘᲐ
ესთეტიკური ბლოკის კათედრის გამგე

სასკოლო აქტივობა

როცა ფანტასტიკა განსაკუთრებით საინტერესოა

ანა ფირცხალაიშვილი

მწერლის სტუმრობა გამორჩეულად საინტერესო მოვლენაა სკოლის ცხოვრებაში, მით უმეტეს, თუ ეს მწერალი ფანტასტიკის ჟანრში მუშაობს და მისი მკითხველებიც სწორედ ამ ჟანრის მოყვარულები არიან. ამ ინტერესთა თანხვედრის შედეგია მწერალ **ნატო დავითაშვილისა** და 128-ე სკოლის VI-კლასელთა შეხვედრა, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, **თინა ბურკაძისა** და სკოლის ბიბლიოთეკარის, **თეა სილაგაძის** ძალისხმევით გაიმართა. რატომ მაინცადამაინც ნატო დავითაშვილი, ამის შესახებ ქალბატონმა თინა გვიამბო: *„თბილისის მერიამ გამოაცხადა კონკურსი რამდენიმე თემაზე, მათ შორის იყო „წიგნიერება და თანამედროვე გამოწვევები“. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს სკოლას საკმაოდ მწირი წიგნადი ფონდი ჰქონდა (128-ე რუსული სკოლა იყო და შესაბამისად, წიგნების უმრავლესობა რუსულ ენაზეა) და, ბუნებრივია, გვინდოდა ამ ხარვეზის შევსება, კონკურსში ჩავებით. საბედნიეროდ, გავიმარჯვეთ და 2000 ლარით დავჯილდოვდით. ამის შემდეგ შევხვდით მოსწავლეებს. მათთან საუბარში გამოიკვეთა, რომ, ძირითადად, თანამედროვე ქართველი მწერლების შემოქმედება და ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოებები აინტერესებთ. ჩვენ ეს გავითვალისწინეთ – შევიძინეთ 1300 ლარის წიგნი, 2 მაგიდა, 8 სკამი და კარადა ბიბლიოთეკისთვის. ძალიან გაიხარეს, როცა განახლებულ ბიბლიოთეკაში ნატო დავითაშვილის წიგნები ნახეს, ბევრს წაკითხული მხოლოდ ერთი ან ორი წიგნი ჰქონდა, ზოგიც მერე დაინტერესდა და მათი ცნობისმოყვარეობა რომ დამეკმაყოფილებინა, ვთხოვე მწერალს, შეხვედროდა ჩემს მოსწავლეებს. მადლობელი ვარ, რომ ქალბატონი ნატო უყოყმანოდ დაგვთანხმდა. და, აი, ხედავთ სავსეა ჩვენი სკოლის დარბაზი“.*

შეხვედრა, თითქმის, 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. სტუმარმა მადლობა გადაუხადა მეექვსეკლასელებს ლიტერატურით, კერძოდ ფენტეზით, დაინტერესების გამო და გაიხსენა, თავად რატომ დაინტერესდა ამ ჟანრით. *„ეს ასაკი ჩემთვის ძალიან ახლობელია, რადგან მეც თქვენს თანატოლებს ვასწავლი ერთ უცნაურ საგანს, ეს არის ქართული მითოლოგია. რატომ დავიწყე წერა? უკვე 40-ს გადაცილებული ვიყავი და სულ სხვა საქმეს ვაკეთებდი. სამსახურიდან დაბრუნებულს ჩემი შვილი გაუთავებლად მიყვებოდა ჰერაკლეს გმირობების ამბავს (მულტფილმია ასეთი, სერიალებით). მერე მითოლოგიის დიდი წიგნიც მაყიდინა. ვკითხე, ქართული მითოლოგიის შესახებ თუ იცოდა რამე, აღმოჩნდა, რომ – არაფერი. სამწუხაროდ, არც მე შემეძლო რაიმეთი დახმარება, ამ სფეროში მეც ბევრი არაფერი ვიცოდი, როცა მოვიკითხე, ვნახე, რომ ქართული მითოლოგიის შესახებ არაფერი იბეჭდებოდა. რამდენიმე მწერალს ვთხოვე კიდეც, გამომცემლობებსაც, მაგრამ უშედეგოდ. არავინ დაინტერესდა“.*

ბავშვების გულწრფელი გაოცება გამოიწვია იმან, რომ ქალბატონმა ნატომ, ოჯახის მხარდაჭერით, გადაწყვიტა, თავად დაეწერა ისეთი ნაწარმოებები, რომლებსაც საფუძვლად ქართული მითოლოგია დაედებოდა – 10 წლის განმავლობაში, მის მიერ გამოცემული 6 წიგნიდან სამი სწორედ ასეთია: „ამბავი ლილე ირიელისა“, „აიას გზა“ და „ნისლებში და ნისლებს მიღმა“. თუმცა, ამ წიგნების გამოცემას წინ 3-წლიანი დაუღალავი შრომა უძღოდა, ყოველდღიური 4-5 საათიანი მეცადინეობით. ამიტომაც არის მისი წიგნები ასეთი საინტერესო, ასაკის განურჩევლად ყველასთვის, ვისაც ფენტეზი მოსწონს. მაღალმხატვრულად აღწერილი მითოსური სამყარო, გარემო, ეთნოგრაფია-ეთნოლოგია პრეისტორიულ საქართველოში გვამოგზაურებს, სადაც მითები, თითქოს, ცოცხალი და რეალური იყო... როგორ ეცვათ, რით იკვებებოდნენ, როგორ ჭედდნენ იარაღს, როგორი სახის ისრებს ხმარობდნენ და კიდევ ბევრი რამ, რაც, სიუჟეტთან ერთად, გიტაცებს ამ წიგნების კითხვისას. ამიტომაც აინტერესებდათ ბავშვებს ყველაფერი არა მარტო წიგნების, არამედ მათი ავტორის შესახებაც. მწერალიც ამომწურავ პასუხებს სცემდა მათ შეკითხვებს.

მოსწავლეებმა: **ლიზი ალგიუზაშვილმა**, **თამარ ჭაბაშვილმა**, **მარი ორაგველიძემ**, **სოფო ნატროშვილმა** და **ანი ღვინერიამ** საკუთარი ჩანახატები წაიკითხეს. მწერალმა რჩევები მისცა ლიტერატურით დაინტერესებულ მოსწავლეებს, რომელთაც საკუთარი შესაძლებლობის მოსინჯვა უნდათ მწერლობაში. სწორედ მათთვის ჩამოყალიბდა სკოლაში ლიტერატურული კლუბი „ბინული“, რომელსაც ქალბატონი თინა ხელმძღვანელობს. კლუბის წევრები სისტემატურად იკრიბებიან, რათა ერთმანეთის შემოქმედება გაიცნონ, აზრები გაცვალონ და მასწავლებლისგან რჩევები მიიღონ. მსგავსი ღონისძიებების გამართვას კლუბი მომავალშიც გეგმავს.

დასასრულ, მოსწავლეებმა და პედაგოგებმა, სკოლის დირექციამ მადლობა გადაუხადეს სტუმარს საინტერესო შეხვედრისთვის, მწერალმა კი ფანტასტიკის ჟანრის მოყვარულებს საკუთარი წიგნები გადასცა სამახსოვრო ავტოგრაფებით.

* * *

გთავაზობთ VI[1] კლასის მოსწავლის **სოფიო ნატროშვილის** ჩანახატს, რომელიც მწერალთან შეხვედრაზე წაიკითხა

ნაწყვეტი „მაიას დღიურიდან“

22 მარტი, 2014 წელი, „დიდი თავგადასავალი სასადილოში“

დღეს ძალიან საინტერესო დღე მქონდა. მე და სესილიას შუადღისას ისე მოგვშიებია, რომ გადავწყვიტეთ, აღმზრდელების სასადილოდან შოკოლადის ორცხობილები მოგვეპარა, ამას მხოლოდ გადარეულები თუ იზამდნენ, რადგან ჩვენს ინტერნატში მკაცრად იკრძალება იქ ბავშვების შესვლა, ხოლო შეპარვა?! ნუ მკითხავთ.

მოკლედ, გავიპარეთ, უი! დამავიწყდა, ალბათ იფიქრეთ, თუ რატომ არ შევედით ბავშვების სასადილოში, რადგან იქ მერი ჩედერი იდგა, ჩვენ რომ დავენახეთ, არ ვიცი, დღეს თუ საერთოდ დღიურს ხელში დავიჭერდი.

მოკლედ, ჩვენი ოთახიდან გავიპარეთ. გრძელი დერეფანი გავიარეთ, გზად კი ჩვენი ზედამხედველი შეგვხვდა, კიდევ კარგი სათვალეები არ ეკეთა, შორიდან ლარნაკები ვეგონეთ. დავბრუნდით ოთახში, რომ ეჭვი არ აეღო. რამდენიმე წუთის შემდეგ გავედით და დიდი სირთულეების მიუხედავად მივაღწიეთ სასადილოს.

კარს პატარა ფანჯარა ჰქონდა, შიგ შევიჭყიტეთ, ასე ვიტყვი „დავზვერეთ“ იქაურობა, ფეხების კანკალით შევედით და ლანგარზე დაწყობილი ორცხობილები ავიღეთ. სესილიამ ერთი-ორი პირში ჩაიტენა, შემდეგ კი კაბისაგან კალთა გაიკეთა და შიგაც ჩაყარა.

ახლა იწყება რაც იწყება, ფანჯარაში ჩედერი, ინტერნატის დირექტორი და მფლობელი დავინახეთ. ფართხაფურთხით შევძვერით ბოლო მაგიდის ქვეშ. კარგად ჩავიმალეთ.

შემობრძანდნენ ცხვირაბზეკილები და ჩვენდა საუბედუროდ, ამ ბოლო მაგიდაზე დასხდნენ. სესილია სიცილისაგან იგუდებოდა, მე კი ვნერვიულობდი, რადგან ის ჩემი შექომაგებული იყო. ამ დროს ჩედერმა თავისი ბანტიანი ფეხსაცმელი გამოყო და პირდაპირ თვალში მოახვედრა სესილიას, ხოდა რო იკივლა, ამის კივილი და მათი ჩამოხედვა ერთი იყო. მოკლედ ორივე დავისაჯეთ, მითუმეტეს მე და ეხლა ვფიქრობ, რატომ დავიპარებოდით, თუ სადილამდე მხოლოდ ოცი წუთი იყო დარჩენილი.

ინფორმაცია

ბულინგის პრევენციის მიზნით

ბულინგის პრევენციის მიზნით, მოსწავლეებისთვის, პედაგოგებისთვის და, პირველად, სკოლის ფსიქოლოგებისა და მშობლებისთვის ტრენინგების ციკლი დაიწყო, რომლის მიზანია, სამიზნე ჯგუფისთვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება – რა უნდა გაკეთდეს ძალადობის აღმოსაფხვრელად და მისი პრევენციისთვის მოზარდებში.

პირველ ეტაპზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფსიქოლოგიური ცენტრის თანამშრომლებმა კონკრეტული სკოლების დამრიგებლები გადაამზადეს, პარალელურ რეჟიმში, ტრენინგების ციკლში, სამიზნე ჯგუფის დანარჩენი წარმომადგენლებიც ჩაერთნენ. ისინი მაქსიმალურ ინფორმაციას იღებენ ბულინგის და მისი თავიდან აცილების თემაზე. თბილისის 51-ე საჯარო სკოლის 50-მდე დამრიგებელს ტრენინგზე მინისტრის მოადგილე ლია გიგაური ეწვია და ტრენინგის მიმდინარეობას გაეცნო.

ტრენინგები პროექტის „ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის ამოცნობა და პრევენცია” ფარგლებში ტარდება და მისი ძირითადი თემებია:

- კომუნიკაციის ფსიქოლოგია;
- სასკოლო ასაკის ბავშვისა და მოზარდის ქცევითი და ემოციური პრობლემები და მასზე ეფექტური რეაგირების სტრატეგიები;
- ძალადობა, ფსიქიკური ჯანმრთელობა, დესტრუქციული ქცევა, აგრესია, თვითდაზიანება, სუიციდდამოკიდებულება.

ტრენინგის მიზანია, შესაძლებელი იყოს ძალადობრივი, დესტრუქციული და თვითდესტრუქციული ქცევის ნიშნების ამოცნობა, მათზე დროული და ეფექტური რეაგირება და პრევენცია.

ლია გიგაური: *„ბულინგი სოციალური პრობლემაა და განსაკუთრებით ხშირად ვლინდება მოსწავლეთა საზოგადოებაში, იქ, სადაც ბევრი ბავშვია ერთად. შესაბამისად, ნებისმიერ მასწავლებელს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელს, მშობელს და თვითონ მოსწავლეებსაც სჭირდებათ ცოდნა, როგორ იმოქმედონ ისეთ შემთხვევაში, თუ ძალადობა ან ბულინგი უკვე იდენტიფიცირებულია. ამიტომ, ტრენინგები, რომლებიც დღეს მასწავლებლებს უტარდებათ, მომავალში კი ჩართული იქნებიან მშობლები, მოსწავლეები და სკოლის ფსიქოლოგებიც, სწორედ ამ მიზანზეა ორიენტირებული – ერთი მხრივ, თითოეულმა ადამიანმა დროულად შეძლოს რისკების იდენტიფიცირება და, მეორე მხრივ, ფლობდეს შესაბამისი მექანიზმების ცოდნას, როგორ იმოქმედოს ისე, რომ დამატებითი ზიანი არ მიაყენოს არც მოსწავლეს, არც მშობელს, არც საერთო სიტუაციას და რეალურად გადაჭრის გზები სწორად დასახოს.*

უნდა შევძლოთ დავიცვათ მოსწავლეთა საზოგადოება ყოველგვარი ძალადობრივი ფაქტებისგან, გართულებებისგან, რომელიც ამ საზოგადოებაში შეიძლება იყოს. მოსწავლეები და მასწავლებლები იმ ახალ კულტურ გარემოში თანაცხოვრებას უნდა შევაჩვიოთ, როდესაც ყველა ადამიანის უფლება დაცულია.“

თინათინ ყენია, თბილისის 51-ე საჯარო სკოლის პედაგოგი: *„ძალიან დიდი, ზღვა ინფორმაცია მივიღეთ იმის შესახებ, თუ რამდენად საჭირო იყო ფსიქოლოგის მუშაობა ზოგადად კლასებში და კონკრეტულად – ინდივიდუალურად ბავშვებთან. არაჩვეულებრივი იყო ბატონი ლევან ზარდალაშვილის ლექცია. ვფიქრობ ამ წამოწყებას ძალიან დიდი მომავალი უნდა ჰქონდეს, განსაკუთრებით სკოლაში, იმიტომ რომ, სკოლაა ზუსტად ის ადგილი, სადაც მსგავსი პრობლემების გამოვლინება ხდება.“*

მედიაწიგნიერება

ირანის ახალი პოლიტიკის გავლენა V საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში

პედაგოგი: ნინო ნადირაძე
საგანი: საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა
კლასი: მეცხრე
თემა: ირანის ახალი პოლიტიკის გავლენა V საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში.

ესგ. ისტ. X 5. სასწავლო მიზანი: მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს საგარეო და საშინაო ფაქტორების გავლენა ქართული სახელმწიფოს წარმოშობასა და განვითარებაზე.
ესგ. ისტ. X 6. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საქართველოში არსებული რელიგიებისა და მათი აქ გავრცელების ისტორიული მიზეზების შესახებ.

მედიაწიგნიერების მიზანი:
მედიაში გამოყენებული ამბის მოყოლის სხვადასხვა ტექნიკის ანალიზი.

ლექსიკონი:
ჰაზარაპეტი – ირანელი დიდმოხელე;
არიელები – ირანელები საკუთარ თავს არიელებს უწოდებენ. აქედან მომდინარეობს ირანის სახელწოდებაც;
არშუშა – ქართლის პიტიახში, რომელიც ქართლიდან იეზდიგერთან იყო მიწვეული;
რესურსები: წყაროები ნაწყვეტი იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, ჯუანშერი „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“, სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპეცი, ნუმიზმატიკა – სასანური მონეტა, თვალსაჩინოება – ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი, მულტიმედია
https://www.youtube.com/watch?v=Pq8tKUfTdAY

აქტივობა 1
გაკვეთილს ვიწყებ გონებრივი იერიშით:
- რომელ საუკუნეში ვითარდება მოვლენები „შუშანიკის წამებაში“?
- რომელ საერთაშორისო ისტორიულ მოვლენას დაეფუძნა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების დაწერა?

აქტივობა 2
წყვილებში წყაროებზე მუშაობა:
- წყარო ა – იაკობ ხუცესი „შუშანიკის წამება“;
- წყარო ბ – ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“.

წყარო ა – იაკობ ხუცესი „შუშანიკის წამება“
„იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში, ძჱ არშუშაჲსი, რამეთუ პირველ იგიცა იყო ქრისტიანე, ნაშობი დედისა და მამისა ქრისტიანეთაჲ, და ცოლად მისა იყო ასული ვარდანისი, სომეხთა სპაჲპეტისაჲ.
...რაჟამს წარდგა იგი წინაშე სპარსთა მეფისა, არათუ პატივისა მოღებისათვის, არამედ ძღვნად თჳსსა შესწირჳდა მეფისა და მის მიმართ უვარის-ყოფითა ჭეშმარიტისა ღრმთისაჲთა და თაყუანის-სცემდა ცეცხლსა... ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან, რაჲთამცა სათნო-ეყო მეფესა.“

წყარო ბ – ჯუანშერი „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“
„და მასვე ჟამსა იყო კაცი ერთი, შვილი მთავართა, სახელით ვარსქენ და ესუა მას ცოლი, მთავართა შვილი, რომელსა ერქუა შუშანიკ, ასული ვარდანისი. ხოლო ამას ვარსქენს ეუფლა ეშმაკი და განიზრახა მიქცევა ცეცხლის-მსახურებად: წარავიდა წინაშე სპარსთა, და დაუტევა სჯული ქრისტესი, და იქმნა ცეცხლის-მსახურ... ხოლო სპარსთა მეფემ წარმოაგზავნა იგი ნიჭითა დიდითა ერისთავად რანისა.“

უპასუხეთ შეკითხვებს და შეავსეთ სქემა:

1. რა მსგავს ინფორმაციას გვაწვდის ნაწყვეტები?	2. რა განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის ნაწყვეტები?	3. რა მიიღო ვარსქენმა გამაზდეანების სანაცვლოდ?
ორივე წყაროში მოყვანილია ვარსქენი და შუშანიკი, ორივე წყაროში ვარქსენი გამაზდეანდება.	იაკობ ხუცესის წყაროში ნახსენებია ირანის შაჰი პეროზი, რომ ვარქსენი იყო ქრისტიანი, იგი თვითონ წარდგა ირანის შაჰის წინაშე არა პატივის მიღებისათვის, არამედ საკუთარი თავი შესწირა მეფეს ქრისტიანობის უარყოფით. ასევე ითხოვდა ცოლს. ჯუანშერის წყაროში მოყვანილია ეშმაკი შეუჩნდაო.	გამაზდიანების სანაცვლოდ სპარსეთიდან იგი წამოვიდა ნიჭითა დიდით ანუ დასაჩუქრებული ტერიტორიით – დაინიშნა რანის ერისთავად. ითხოვდა ასევე ირანელ ცოლს, რათა ესიამოვნებინა შაჰისთვის.

აქტივობა 3
ერთსულოვნების მიერ გადაღებული ფილმის ჩვენება
https://www.youtube.com/watch?v=Pq8tKUfTdAY
ფილმი – 4 წთ და 30 წამი. მასში ნაჩვენებია ქვემო ქართლის პოლიტიკური ვითარება. ქართლში, ვარსქენის გამაზდეანება და შუშანიკის წამების მოტივი.
კითხვ.: ტექსტებისა და ფილმის მიხედვით იმსჯელეთ:

შეკითხვა	სავარაუდო პასუხები
რა მიზანს ისახავდა ადგილობრივ დიდებულთა ამ ფორმით წახალისება?	ადგილობრივ დიდებულთა ამგვარი წახალისებით ირანის შაჰის კარი რელიგიური კუთხით შეაღწევდა ქართლის წარჩინებულების კარზე
ადგილობრივ დიდებულთა ამ ფორმით წახალისება რა შედეგს მოიტანდა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში?	ქართლის წარჩინებულების რელიგიის შეცვლით ქვეყანა რელიგიურად ორად გაიყოფოდა, წარმოიშობოდა ანარქია, რომელიც მეფის ხელისუფლების გავლენას შეამცირებდა დაბალი ერის წარმომადგენლებზე. ხოლო ირანისათვის (მტრისათვის) ადვილად დასამორჩილებელი გახდებოდა.
რა მიზნით შეიქმნა ხუცესის მიერ „შუშანიკის წამება“?	„შუშანიკის წამება“ შეიქმნა საზოგადოებისათვის, რომელიც დაანახებდა უბრალო ერს სარწმუნოებრივი მებრძოლი ქალის სახეს. ამით სურდათ აემაღლებინათ ქრისტიანული რელიგია, ეჩვენებინათ საზოგადოებისათვის, რომ მიუხედავად წამებისა, სიკვდილის შემდეგ ყველაფერი დაფასდება, ფიზიკური ცხოვრება არაფერია სულიერ ცხოვრებასთან შედარებით.

აქტივობა 4
სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპეცი:
ირანის შაჰ იეზდიგერდს ჰყავდა ჰაზარაპეტი მიჰრენესი, რომელიც შთააგონებდა შაჰს, რომ საჭიროა ზრუნვა არა მარტო სახელმწიფო შემოსავლებზე, არამედ ქვეშევრდომთა სულებზეც. სომეხთა ქვეყანა მახლობელია და მოსაზღვრე კეისრის სამეფოსი და რჯული და ერთმსახურება ისეთივე აქვს, რადგანაც კეისარს უპყრია მათი სამთავრო, მაგრამ თუ ჩვენს რჯულს მიაჩვევთ, დაუახლოვდებიან მას და შეძლებენ მის ცნობას. აქამდე თუ შემცდარნი იყვნენ, ახლა სწორ გზას დაადგებიან, შემდეგ თქვენც შეგიყვარებენ და არიელთა ქვეყანასაც, ხოლო კეისარს, მის რჯულსა და ქვეყანას განუდგებიან და განშორდებიან. მაშინ ჩვენთან ეს ქვეყანა მტკიცე სიყვარულითა და თანხმობით იქნება. ხოლო როდესაც სომხეთი მტკიცედ იქნება ჩვენი, მაშინ სწორედ ქართლიცა და ალბანეთიც ჩვენი იქნება.
კითხვები:

შეკითხვა	სავარაუდო პასუხები
რა მნშვნელობას ანიჭებდნენ ირანელები რელიგიას?	ირანელები მიხვდნენ რომ რელიგია იყო ქვეყნის გამაერთიანებელი, თუ დაპყრობილ ქვეყნებში თავიანთ რელიგიას აზიარებდნენ, ისინი მათ შეიყვარებდნენ.
შეადარეთ ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის და სომეხი ისტორიკოსის ინფორმაციები ერთმანეთს, რა საერთოს ხედავთ ამ ორ ნაწყვეტს შორის.	ირანის შაჰის ახალი პოლიტიკა, რომელმაც მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში შედეგი გამოიღო. გაამართლა ამ ახალმა მეთოდმა, ქართლში აღმოჩდნენ ისეთი პიტიახშებიც, ვარსქენის სახით, რომლებმაც დაუტევეს თავიანთი რელიგია და ეზიარნენ მაზდეანობას.

აქტივობა 5

სასანური მონეტა VI ს.

წყვილებში მოსწავლეებს ურიგდებათ სასანური მონეტის ფოტო. მათ უნდა იმსჯელონ და მოამზადონ პრეზენტაცია – განიხილონ საკითხები:
ა) რატომ იყო გამოსახული ცეცხლთაყვანისმცემელთა სიმბოლო სასანური ირანის მონეტაზე?
ბ) რას ნიშნავს საქართველოში მათი აღმოჩენა?

მოსწავლეთა წყვილების მიერ მომზადებული პასუხების სავარაუდო ნუსხა:
ა. ა. ცეცხლი მარადიულობის ნიშანია;
ა. ბ. ირანელების მთავარი რელიგია ცეცხლთაყვანისმცემლობა იყო;
ბ. ა მათი აღმოჩენა საქართველოში ნიშნავს, ირანსა და ქართლს შორის სავაჭრო ურთიერთობა იყო;
ბ. ბ. ირანის პოლიტიკური გავლენა ქართლში ძლიერი იყო.

აქტივობა 6
მოსწავლეებს ურიგდებათ თვალსაჩინოება „ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი“, უპასუხონ კითხვებზე:
ა. რა საერთოა სასანურ მონეტას, ჯუანშერის წყაროსა და თვალსაჩინოებას შორის?
ბ. იმსჯელეთ ქართლში ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრის არსებობაზე.

მოსწავლეთა სავარაუდო პასუხები:
- ჯუანშერის წყაროში გადმოცემულია ვარსქენ პიტიახშის გამაზდეანება, რაც ნიშნავს, რომ ირანის შაჰის ახალმა პოლიტიკამ გაამართლა, ასევე გაძლიერდა მისი გავლენა ქართლზე სავაჭრო კუთხით, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში ნაპოვნია სასანური მონეტები. ხოლო ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრის არსებობა მიგვანიშნებს, რომ უკვე არსებობს ადგილი ქართლში, საიდანაც ვრცელდება მაზდეანობა.
- ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრის არსებობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ირანის შაჰის ახალი პოლიტიკა, რომლის მიმართულება იყო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დაპყრობის შემდეგ მაზდეანობის გავრცელება, გაამართლა და გაჩნდა ასევე კერები, სადაც მოგვებს ჰქონდათ თავიანთი სალოცავი ადგილი



აქტივობა 7
განხილული წყაროების თქვენეულ ანალიზზე დაყრდნობით, დაწერეთ რეფერატი „ქვემო ქართლი V საუკუნის II ნახევარში“ (სავარაუდოდ, რეფერატში მოსწავლეები ყურადღებას გაამახვილებენ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის შიდა პოლიტიკაზე, ასევე ახდენს თუ არა გავლენას საერთაშორისო ვითარება ქვეყნის საშინაო პოლიტიკურ ვითარებაზე).

შეფასება

რა ვიცოდი	რა გავიგე	რა მინდა უფრო სიღრმისეულად ვიცოდე?
მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის ისტორიული მნიშვნელობა, საგარეო და საშინაო პოლიტიკა, ირანელების სახელწოდების მომდინარეობა. ცეცხლთაყვანისმცემლობა. პეროზ მეფესთან ვარსქენ პიტიახშის წასვლის მიზეზები. ქრისტიანობის უარყოფა და გამაზდეანება. შუშანიკ დედოფლის აგრესია და მოწამეობრივი ცხოვრება სიცოცხლის დასასრულამდე.	რას ნიშნავს უცხო სიტყვა – ჰაზარაპეტი, არიელები. რომ ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრებიც ყოფილა საქართველოში. სომეხი ისტორიკოსის წყარო ისტორიაში კი გვქონდა ნასწავლი, მაგრამ აღარ გვახსოვდა, რომ ზრუნვა საჭირო იყო არა მარტო სახელმწიფო შემოსავლებზე, არამედ ქვეშევრდომთა სულებზეც.	გვინდა ვიცოდეთ როგორი ურთიერთობა ჰქონდა ქართლს სხვა ქვეყნებთან მეხუთე საუკუნეში. სად იყო ცეცხლთაყვანისმცემლური ტაძრები ქართლში. რამდენი წლისანი იყვნენ შუშანიკის შვილები, როცა ვარსქენმა იქონია გავლენა და რჯული შეაცვლევინა წინააღმდეგობის გარეშე.

ინფორმაცია

ჭეშმარიტი, თვითმყოფადი, ეროვნული და თანამედროვე

11-12 მარტს, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელოვნებო განათლების განყოფილების ინიციატივით, განხორციელდა სასწავლო-საგანმანათლებლო, შემეცნებითი პროექტი „ჭეშმარიტი, თვითმყოფადი, ეროვნული და თანამედროვე“, რომელშიც აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლე ახალგაზრდები, კომპაქტურად ჩასახლებული შემოქმედი მოზარდები (სულ 50-ზე მეტი ბენეფიციარი), მოსწავლეთა მშობლები და პედაგოგები მონაწილეობდნენ.

პროექტის ბენეფიციარები საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელოვნების ნიმუშთა საცავს ესტუმრნენ და ახლად გახსნილ საგამოფენო დარბაზებში წარმოდგენილი ფიროსმანის, გუდიაშვილის, კაკაბაძის, გაბაშვილის, მაკოვსკის, პიკასოს და სხვა ცნობილი ხელოვანების ნაწარმოებები დაათვალიერეს.

❖ *„ეს საინტერესო დღე სამახსოვრო იქნება ჩემთვის. დავათვალიერე საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სადაც თავმოყრილია მრავალი კოლექცია: უნიკალური არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთები, ქრისტიანული კულტურის მდიდარი მემკვიდრეობა – ჭედური და ფერწერული ხატები, ჯვრები, ნაქარგობა, ტიხრული მინანქარი, ოქროსა და ვერცხლის ნატიფი სამკაულები ანტიკური კოლხეთიდან, სხვადასხვა დროის ქართველი და ევროპელი მხატვრების შესანიშნავი ნამუშევრები, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. როგორი სიმდიდრის მემკვიდრენი ვართ ქართველები. განსაკუთრებულად აღვნიშნავდი სიწმინდეებს – ანჩისხატს, ხახულის ღვთისმშობელს, რომელსაც შევთხოვდი საქართველოს გაერთიანებას, თამარის ჯვარს, რომელიც ერთადერთი ნივთია დედოფლისა, რამაც ჩვენამდე მოაღწია. ჩემი ყურადღება მიიპყრო, აგრეთვე, გამოფენამ, სადაც წარმოდგენილი იყო უცხოელი და ქართველი მხატვრების ნამუშევრები. მათ შორის მომეწონა კონსტანტინე მაკოვსკის „ვოლკონსკაიას პორტრეტი“ და პიკასოს „ფიროსმანიშვილის პორტრეტი“.*

გულით მინდა, მადლობა გადავუხადო ნონა მასწავლებელს (აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის „ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარება“ დამფუძნებელს), რომელმაც იზრუნა ჩვენთვის საოცარი საგანძური ეჩვენებინა.“

მარიამ დემურია
აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის წევრი

❖ *„2017 წლის 11 მარტს ვიყავით ეროვნული მუზეუმის ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია-კონსერვაციის ცენტრში. დავათვალიერეთ გალერეა და ქრისტიანული კულტურის მდიდარი მემკვიდრეობა. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ლუკას კრანახის (უფროსი) „მაჭანკალმა“, რეისდალის „პეიზაჟმა“ და ლადო გუდიაშვილის „ტბის პირას“.*

მადლობა მუზეუმის თანამშრომლებს, რომლებმაც ასე გულთბილად გვიმასპინძლეს.

მადლობა ამ ღონისძიების ორგანიზატორს, ქალბატონ ნონა ბერაიას.“

მონიკა ჯალაღონია
სსიპ ვოვა ვეკუას სახელობის
აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის მე-11 კლასი

❖ *„დავათვალიერეთ ეროვნული მუზეუმი, რამაც კიდევ ერთხელ დამაფიქრა, „ვისი გორისანი ვართ“. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ამაყი ვიყავი, როცა ვათვალიერებდი ჩვენს უმდიდრეს კულტურულ მემკვიდრეობას – ჭედურ და ფერწერულ ხატებს, ჯვრებს, უნატიფეს ნაქარგობას თუ ტიხრულ მინანქარს.*

ძალიან მომეწონა უფლისციხეში არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნი ნივთებიც. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელმაც მაჩუქა ეს ულამაზესი დღე.“

ნონა ძოგალია
სსიპ ვოვა ვეკუას სახელობის
აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის მე-11 კლასი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის, ბატონი დავით ლორთქიფანიძის თანხმობით, პროექტის მონაწილეებმა შეძლეს, უფასოდ დაეთვალიერებინათ სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფერწერული და ფოტოგამოფენები. X-XVIII საუკუნეების ხელნაწერები, უნიკალური ხატები, ნაქარგობის ნიმუშები, V-VI საუკუნეების მოზაიკის უძველესი ნიმუში ბიჭვინთიდან, ჩვ.წ. აღ-მდე II ათასწლეულში დამზადებული თიხისა და ქვის საოცარი მასალა უფლისციხის საგანძურიდან, რომელიც პირველად იქნა გამოფენილი, ასევე, ის ტექნოლოგიები და ხელსაწყოები, რომლებიც გამოიყენებოდა მათ შესაქმნელად.

გამოფენამ საშუალება მისცა ჩვენს მოზარდებს, ერთიან კონტექსტში დაენახათ ქართული ქრისტიანული ხელოვნების თვითმყოფადობა და განვითარების უწყვეტი გზა, რომელიც წინაქრიასტიანულ ხელოვნებაში იღებს სათავეს.

ნონა ბერაია
პროექტის ავტორი

ზამთრის ოლიმპიადის პრიზიორები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების მონაწილეობით, ავსტრიაში, 2017 წლის მსოფლიო სპეციალური ზამთრის ოლიმპიადა გაიმართა, რომელშიც პირველად მონაწილეობდნენ საქართველოს სპეციალიზებული სკოლების წარმომადგენლები და სხვადასხვა საპრიზო ადგილი დაიკავეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის მე-200 სპეცსკოლის აღსაზრდელები **ანი ნოდია** და **მარიამ ოქროპირიძე**, ანიმ ციგურებით სრიალში მეექვსე ადგილი დაიკავა, ხოლო მარიამმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ანი და მარიამი, ერთი წლის წინ, პირველად დადგნენ ყინულზე. სპეციალისტების ინტენსიური მუშაობის საფუძველზე მათ შეძლეს წარმატების მიღწევა. ანიმ, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს, შეძლო თავისი ხმა მიეწვდინა მსოფლიოსთვის, რომ მასაც თანატოლების მსგავსად შეუძლია იყოს ჩემპიონი.

7000-ზე მეტი მასწავლებელი გადამზადდება

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს ყველა საჯარო სკოლის 7000-ზე მეტ მასწავლებელს „აქტიური სწავლება საგნებში“ ტრენინგის კურსს შესთავაზებს. ამჟამად, უკვე დასრულდა ტრენინგის ექვსი მოდულის საცდელი ფაზა ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მათემატიკის, გეოგრაფიისა და ინგლისური ენის სწავლებაში. საცდელ ფაზაში ცენტრის 132 ტრენერი მონაწილეობდა.

ტრენინგი „აქტიური სწავლება მასწავლებლებში“ ითვალისწინებს რეალური სასწავლო გარემოს მოდელირებას, სადაც მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ, საკუთარ თავზე გამოსცადონ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომების ძირითადი პრინციპები, უშუალოდ დაინახონ მათი სარგებელი და შეიმუშაონ ამ მიდგომების სასწავლო პრაქტიკაში ინტეგრირების გეგმა.

შესაბამისად, ტრენინგებზე შეძენილი ცოდნა და უნარები მასწავლებლებს დაეხმარება, სასწავლო პროცესი მეტად სახალისო, ინტერაქტიული, პრაქტიკულ ცხოვრებასთან დაკავშირებული და XXI საუკუნის მოსწავლის მოთხოვნებსა და ინტერესებზე მორგებული გახადოს. ტრენინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კვლევებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდებს.

საგნობრივი ტრენინგები 2017 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ჩატარდება. დაგეგმილია, მთელი ქვეყნის მასშტაბით, VII-XII კლასების მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და ინგლისურის ენის საჯარო სკოლის 7000-ზე მეტი მასწავლებლის გადამზადება, რომლებმაც, მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში, უკვე გაიარეს ზოგადპროფესიული უნარების კურსის მოდულები 2016-2017 წელს.

პროექტი ითვალისწინებს უმცირესობების წარმომადგენელი პედაგოგების მონაწილეობას ტრენინგში, შესაბამისად, საგანგებოდ მათთვის ითარგმნება სატრენინგო მასალა და გადამზადდებიან რუსული, სომხური და აზერბაიჯანული ენის მცოდნე ტრენერები.

სპორტი

მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი დასრულდა

რუმინეთის ქალაქ ბრაილაში დასრულებულ 22-წლამდელ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატში, რომელიც ამ ასაკში პირველად ჩატარდა, წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა წარგზავნილებმა და თითო ოქრო-ვერცხლი მოიპოვეს. ევროპის ჩემპიონი 69 კილოგრამში თბილისელი **ესკერხან მადიევი** გახდა, ხოლო ვერცხლი 64-ში რუსთაველმა **ლაშა გურულმა** მოიპოვა.

მადიევმა რუმინულ რინგზე ხუთჯერ იჩხუბა წარმატებით – ჯერ ბულგარელ **რობერტ ჩამასანიანთან** იქნია ღონივრად მუშტი და იმდენად წარმატებით, რომ ხუთივე მსაჯმა ერთხმად მიანიჭა გამარჯვება, მერე მასპინძელ რუმინელებს გაულახა ფალავანი, მეოთხედფინალში ბრიტანელი **ფაილ კარლი** დაამარცხა, ვისაც ნახევარფინალში გერმანელი პაულ ვოლიც მიაყოლა, ფინალში წარმატებას და ოქროს მედალს კი რუსი **ვლადისლავ სავოსტიანოვის** ძლევით მიაღწია. აღსანიშნავია, რომ მან პირველ ორ ბრძოლაში საკმაოდ მძიმე ტრავმები მიიღო – ცხვირი და წარბი გაუსკდა, რამაც მოგვიანებითაც ხშირად შეახსენა თავი, თუმცა, აუტანელ ტკივილებს გაუძლო და დიდი წარმატებაც იზეიმა.

რუმინეთში, ასევე, 5 პაექრობა გამართა გურულმაც, ვინც თავდაპირველად რუსი **ანდრეი კირიჩენკო** დაამარცხა, მერე ნორვეგიელ და რუმინელ მოკრივეებთანაც წარმატებით იბრძოლა, ნახევარფინალში კი იტალიელი **პაოლო დი ლერინა** დაამარცხა. სამწუხაროდ, ეს მისი ბოლო წარმატება აღმოჩდა, რადგან ფინალში მსაჯებმა გამარჯვება მის მეტოქეს, ბრიტანელ **ლუკ მაკკორმიკს** მიანიჭეს. ეს შეხვედრა გურულმაც მძიმე ტრავმით ჩაატარა.

ეს ამ ასაკში ჩვენთვის პირველი გამარჯვებაა და, ამდენად, ისტორიულიც. გუნდი უკვე დაბრუნდა თბილისში, სადაც მიღება გაუმართა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა**. მან მოკრივეებს წარმატება მიულოცა და გამოთქვა რწმენა, რომ ეს თაობა შეძლებს, საქართველო ასახელოს ისეთ დიდ სპორტულ ფორუმებზე, როგორიც მსოფლიო ჩემპიონატი და ოლიმპიადაა.

ამ დუეტის გარდა, რუმინეთში ჩვენგან კიდევ რამდენიმე მოკრივე გამოდიოდა, თუმცა, ისინი უმედლოდ დარჩნენ: **ნოდარ დარბაიძე**, **არტიუშ გომციანი**, **კონსტანტინე ხვისტანი**, **რატი ტლაშაძე** და **გიორგი ჭიღლაძე**.

სპორტული ოლიმპიადა დაიწყო

ქვეყნის მასშტაბით, უკვე დაიწყო სასკოლო სპორტული ოლიმპიადა. ჯერჯერობით, მიმდინარეობს შიდა საქალაქო და რაიონული პირველობები, რომელიც რეგიონული შეჯიბრებების მონაწილეებს გამოავლენს.

სასკოლო ოლიმპიადის პროგრამაში წლეულსაც ძირითადი სპორტის ის 10 სახეობა იქნება, რაც შარშანაც იყო შეტანილი, თუმცა ახალი მიმართულებებიც ემატება, უმთავრესად – შემეცნებითი ხასიათის: მინი-ფეხბურთი, კალათბურთი (3X3), მაგიდის ჩოგბურთი, გეზრბენი, ხელბურთი, ფრენბურთი, ბადმინტონი, ჩერლიდინგი, მხიარული სტარტები და სპორტულ-შემეცნებითი ოლიმპიადა.

შეჯიბრებები უკვე დაიწყო და პირველი გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ მესტიაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, ქედაში, თბილისში, რუსთავში, ფოთსა და საქართველოს სხვა ქალაქებში.

27 მარტს, მესტიის მე-2 საჯარო სკოლის დარბაზში, გაიმართა ფრენბურთელთა შეჯიბრება გოგონებსა და ბიჭებში, რომელიც შიდა რაიონული შესარჩევი ტურნირი იყო და მასში მესტიის მუნიციპალიტეტის გუნდები გამოდიოდნენ. გოგონებში ნაკრის სკოლამ გაიმარჯვა, ბიჭებში კი ჭუბერელებმა იყოჩაღეს. ეს გუნდები სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ პირველობაზე გამოვლენ და რესპუბლიკურ, ანუ ფინალურ ტურნირზე მოხვედრას შეეცდებიან.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სპორტის სამ სახეობაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები: მინი-ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და კალათბურთში, მთლიანად კი, ამ რაიონის სკოლები 7 სახეობაში იასპარეზებენ.

მინი-ფეხბურთში რუხის სკოლამ გაიმარჯვა. კალათბურთში ბიჭებში რიყის სკოლამ პირველი ადგილი აიღო, გოგონებში – ურთას სკოლამ. ჩოგბურთელ ბიჭებში ყველას დარჩელის პირველმა სკოლამ აჯობა, გოგონებში კი გრიგოლიშის გუნდმა გაიმარჯვა.

მოსწავლეთა პირველი ევროპული

26-27 მარტს, გურჯაანში, ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი მოსწავლეთა შორის, რომელშიც ჭაბუკთა ე.წ. უმცროსი ასაკის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ჭიდაობის გაერთიანებულმა მსოფლიოს ფედერაციამ წლეულს ახალი ნოვაცია შემოიღო და გადაწყვიტა, პირველხარისხოვანი შეჯიბრებები სკოლის მოსწავლეთა შორისაც გამართოს, საექსპერიმენტოდ კი ევროპის ჩემპიონატი შეარჩია, რომელიც პირველად გაიმართება, 19-21 მაისს, ბელგრადში, სამივე საჭიდაო სტილში. გურჯაანის ტურნირიც იქ წასაყვანი შემადგენლობის შერჩევას ემსახურებოდა, თუმცა ის მხოლოდ ბიჭებში გაიმართა, რადგან გოგონებში ჯერ ფიზიკურად არ გვყავს ამდენი კანდიდატი.

ამ ასაკში შეჯიბრებები საქართველოშიც ხშირად იმართება, ხოლო საზღვარგარეთ – მით უმეტეს. თუმცა, ეს შეჯიბრება გაცილებით სხვა დატვირთვისაა, რადგან შესარჩევი გახლდათ უფრო მაღალი რანგის ტურნირისთვის. ახალმა შანსმა მონაწილეთა დიდი ინტერესიც გამოიწვია და გურჯაანის ახალგახსნილ სპორტსკოლაში მთელი საქართველო შეიკრიბა. სანახაობაც კარგი გაიმართა, ბავშვებმა თავი არ დაზოგეს საუკეთესო სპორტული თვისებების წარმოსაჩენად.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: **ლუკა ბენდელიანი** (ოზურგეთი; 32 კგ), **დავით გვასალია** (ხობი, 35); **ლუკა გუგეშაშვილი** (ონი; 38), **არჩილ ბოლქვაძე** (აჭარა; 42), **რომეო ბერიძე** (აჭარა; 47), **საბა კიკაძე** (თბილისი; 53), **საბა მამალაძე** (ოზურგეთი; 59), **დავით ჩხაიძე** (აჭარა; 66), **კონსტანტინე სიჭინავა** (ხობი; 73), **ცოტნე ცინცაძე** (ოზურგეთი; 85).

თავისუფალ ჭიდაობაში ოქროს მედლებს დაეუფლნენ: **აბას მაგამედოვი** (თბილისი; 32), **თამაზ სულამანიძე** (ქუთაისი, 35), **გიორგი გოგრიჭიანი** (ამბროლაური, 38), **ლუკა ჩხიტუნიძე** (საჩხერე, 42), **აკოფ პოღოსიანი** (ნინოწმინდა; 47), **დავით აბდალაძე** (ქუთაისი; 53), **დავით ფაცინაშვილი** (გორი; 59), **დავით კუჭუაშვილი** (საგარეჯო, 66), **გიორგი მაჭუტაძე** (აჭარა; 73) და **გიორგი ჩიხრაძე** (ონი; 85).

სახელბურთო მარცხი ბელარუსში

ხელბურთელ გოგონათა 19-წლამდელთა ნაკრებმა წარუმატებლად იასპარეზა ბელორუსულ ულობინში, თანატოლთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, სადაც ქვეჯგუფის სამივე მატჩი დათმო. ჩვენები, თავდაპირველად, მასპინძელ ბელორუსთან დამარცხდნენ – 24:34. ამ ჯგუფში ყველაზე მეტი შანსი ბელორუსთან გვქონდა, რადგან პორტუგალია და შვეიცარია იმთავითვე ფავორიტები იყვნენ. ყვარლელი **ქეთი კუნელაშვილის** კარგი თამაშის დამსახურებით (8 გოლი – საუკეთესო შედეგი ორივე გუნდში), ჩვენები კარგა ხანს ახერხებდნენ ანგარიშის „დაჭერას“, მაგრამ ბოლო წუთებში მასპინძლებმა იმძლავრეს და მოგვიგეს.

ამის შემდეგ გასაკვირი არცაა, რომ ჩვენებმა ჯერ შვეიცარიასთან წააგეს – 19:37, ბოლოს კი პორტუგალიასთან 15:34 დავთმეთ. ფინალურ ეტაპზე პორტუგალია გავიდა, რომელმაც ბურთების უკეთესი სხვაობით გაუსწრო შვეიცარიას, მათი პირადი პაექრობა კი ფრედ – 25:25 დასრულდა.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

იურისტის კონსულტაცია

როგორ გამოითვლება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების ოდენობა?

დასაქმებულისათვის გასაცემი დახმარების ოდენობის გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება.

თუ შრომითი ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების ოდენობა, ამ შემთხვევაში, დახმარების გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების პერიოდამდე, უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში, დარიცხული შრომის ანაზღაურების მიხედვით გაანგარიშებული საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება.

გამომუშავებაზე დამოკიდებული შრომის ანაზღაურების შემთხვევაში, დახმარების ოდენობის გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების პერიოდამდე, უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში, დარიცხული შრომის ანაზღაურების მიხედვით გაანგარიშებული საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება. თუ დასაქმებულს არ გააჩნია მოცემულ დამსაქმებელთან სამი თვის მუშაობის სტაჟი, საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება გამოითვლება მოცემულ დამსაქმებელთან შესაბამისი პროფესიისა და კვალიფიკაციის დასაქმებულისათვის გადახდილი საშუალო თვიური შრომის ანაზღაურებიდან.

ვარ პედაგოგი, დროებითი შრომისუუნაროობის გამო სამსახურში ვერ დავდივარ, მაქსიმუმ რამდენი ხნით შეიძლება ბიულეტინზე ყოფნა?

თუ სკოლასა და მასწავლებელს შორის დადებული კონკრეტული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული, სკოლასა და მასწავლებელს შორის შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ხანგრძლივი შრომისუუნარობისას, თუ მასწავლებლის შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში აჭარბებს 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, მასწავლებელს გამოყენებული აქვს როგორც ანაზღაურებადი, ასევე ანაზღაურების გარეშე შვებულება.

ვიქნები მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი საგანმანათლებლო რესურსცენტრში, ვარ უფროსი სპეციალისტი (პედაგოგი), მაქვს თუ არა უფლება, ჩავატარო გაკვეთილები (10 საათი) კერძო სკოლაში?

საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან **თავისუფალ დროს** შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება. შეთავსებით სამუშაოზე მუშაობა ხელს არ უნდა უშლიდეს ძირითადი სამუშაოს შესრულებას, ასეთ შემთხვევაში, თქვენ გაქვთ უფლება, ჩაატაროთ გაკვეთილები.

რა შემთხვევაში შეიძლება არ ანაზღაურდეს შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო?

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება არ ანაზღაურდება, თუ საავადმყოფო ფურცლის დახურვის, ხოლო შვილად აყვანის შემთხვევაში – სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან გასულია 6 თვე.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურიდიული დეპარტამენტი

მშობელთა კრება

თინეიჯერები

თინეიჯერები არიან ადამიანები 13 დან 19 წლამდე, რომლებიც სწორედ ამ დროის მონაკვეთში ყალიბდებიან როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივადაც. ამ ასაკს შეიძლება ყველაზე რთული პერიოდი ვუწოდოთ, რადგან მოზარდის ცხოვრებაში, ერთდროულად, საშიში და სასიამოვნო დროა.

ეს ისეთი პერიოდია, როცა ყალიბდება მათი საბოლოო ხასიათი. ამ დროს ოდნავ უხეშმა მოქცევამაც კი შესაძლოა დიდი ტრამვა მიაყენოს თინეიჯერს. საჭიროა მყუდრო გარემო და კარგი მოპყრობა მათ მიმართ. ზოგ მშობელს სჯერა, თუ მკაცრად მოექცევა, უფრო კარგი იქნება, მაგრამ ამ დროს ყველაფერი პირიქით ხდება – სახლში ავტორიტარული ატმოსფეროს შეიქმნამ შეიძლება ამბოხი გამოიწვიოს ბავშვში ან პირიქით – ჩაკლას მისი ბუნებრივი მიდრეკილება თავგადასავლებისკენ, რაც მათ ასაკში აუცილებელია.

თინეიჯერებს უწევთ ორ უმნიშვნელოვანეს გარემოსთან შეგუება – სახლთან, რომელშიც მათ აუცილებლად მშობლებთან ერთად უნდა იცხოვრონ და სკოლასთან, სადაც განათლების მისაღებად უნდა იარონ. უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახლი, სადაც ბავშვი „დაწყებით განათლებას“ იღებს, ასევე, ელემენტარულ ეთიკასა და ქცევის კულტურას სწავლობს. არანაკლებ მნიშვნელოვანია სკოლა, სადაც ბავშვი, დაწყებით კლასებში, თანატოლებთან ურთიერთობას ეჩვევა და ზოგად განათლებას იღებს. როცა არც სახლში და არც სკოლაში არ იღებს სათანადო, ობიექტურ ინფორმაციას, ისეთ მოვლენაზე, როგორიცაა ქუჩური მენტალიტეტი, მას გარკვეული სახის სიმპათია უჩნდება ქუჩური ცხოვრებისადმი.

თინეიჯერები ხშირად იმპულსებს ჰყვებიან და ამას მათთვის არასასურველი შედეგი მოაქვს ხოლმე, მაგრამ სწორედ ესაა თინეიჯერობის ასაკის ხიბლი – ჩაიდინო შეცდომები და შენივე შეცდომებზე ისწავლო, გააკეთო ის, რაც შენ გინდა და ის, რაც შენ მოგანიჭებს სიამოვნებას, თუნდაც ამის წინააღმდეგი იყოს მშობელი. ეს ის დროა, როცა საშუალება გეძლევა, აკეთო სისულელეები მეგობრებთან ერთად, იხუმრო უაზრო თემებზე, ბევრი იცინო და ასევე ბევრი იტირო იმ პრობლემებზე, რომლებზეც ზრდასრულ ადამიანს გაეცინება.

რა თქმა უნდა, თინეიჯერი თავის ნებაზე არ უნდა მიუშვა, ზომიერი სიმკაცრეც მისაღებია, მაგრამ მშობელს უნდა ესმოდეს, რომ თინეიჯერი, ყველაფრის მიუხედავად, მაინც თავისას გაიტანს და გააკეთებს იმას, რაც მას უნდა, მაგრამ განსხვავება იმაში იქნება, რომ ის ამას ჩუმად გააკეთებს და ამით მშობელიც მოტყუებული დარჩება. ამიტომ მშობელი, ასე ვთქვათ, იძულებულია შვილს ენდოს, რათა ამით მისი ნდობა დაიმსახუროს და უფრო ჩართული იყოს მის ცხოვრებაში.

კომპიუტერი და თინეიჯერები – ეს პრობლემა საქართველოში (ზოგი ამას პრობლემადაც არ თვლის) ორადაა გაყოფილი: ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ კომპიუტერი ბევრ რამეში ეხმარება ადამიანს და ისინი, ვისაც სჯერა, რომ კომპიუტერი მხოლოდ ავნებს ადამიანს, თუმცა თვითონ აქტიურად მოიხმარენ კომპიუტერს. თინეიჯერების უმეტესობა თვლის, რომ კომპიუტერი ბევრ რამეში ეხმარება ადამიანს. სოციალური ქსელები ბავშვს ძალიან დიდ დროს ართმევს და ნაკლებ დროს უტოვებს სწავლისთვის. დღეს, თუ მათ რაიმეს წაკითხვა სურთ, სასურველ მოთხრობას ინტერნეტში ეძებენ და იქ კითხულობენ.

თინეიჯერთა უმრავლესობას მოსწონს ის აზრი, რომ მათ შესაძლოა იმუშაონ, საკუთარი ფული იქონიონ და მშობლებთან „მათხოვრობა“ არ დასჭირდეთ, მაგრამ, ამის მიუხედავად, მათ დიდ ნაწილს მუშაობა ეზარება ან ვერ მუშაობენ გარკვეული მიზეზების გამო, მაგალითად, როგორიცაა მშობლის განსხვავებული აზრი ან დროის უქონლობა კარგი სწავლის გამო.

სკოლა და თინეიჯერები – თინეიჯერების უმრავლესობა ფიქრობს, რომ სკოლაში სწავლა საჭირო არ არის, მათ არ უყვართ მასწავლებლები, არ სწავლობენ და იქცევიან ცუდად. ალბათ ხშირად მოგისმენიათ ფრაზები: „აუ, რა ცუდია, სკოლა რომ იწყება“, „მაგრად მეზარება“, „რა ივლის ყოველდღე“, „რაში მჭირდება სკოლა“ და ა.შ.

პრობლემაც სწორედ ეს არის, ჩვენს თინეიჯერებს ეზარებათ სკოლაში სიარული და არ აქვთ განათლების მიღების სურვილი (გამონაკლისებიც უამრავია, რა თქმა უნდა). მაგრამ რაც ყველაზე ცუდია, მათ არც ის სურთ, რომ სკოლის გარეთ სხვა რაიმე სასარგებლო საქმეს მოჰკიდონ ხელი, პირიქით, ისინი ნაკლებად ითვალისწინებენ მშობლების აზრს, არავის არ აქცევენ ყურადღებას და თავიანთ აკვიატებულ აზრებს მიჰყვებიან – ეძალებიან ალკოჰოლს, ხშირად ამ დროს ჩნდება სიგარეტის ინტერესიც. ეს ყველაფერი კი, საბოლოოდ, სავალალო შედეგებს იწვევს.

ქართველი თინეიჯერების უდიდესი პრობლემა ისიც არის, რომ მათ არ შეუძლიათ საკუთარი აზრის თამამად გამოხატვა, რადგან თანატოლების ზეგავლენის ქვეშ არიან მოქცეული. თითებზე ჩამოსათვლელად არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ მოდა სწორედ ის არის, რაც მათ მოსწონთ და სხვისი აზრი არ აინტერესებთ. თითოეული ადამიანი უნდა ეცადოს გახდეს ინდივიდი და საკუთარი აზრი ჰქონდეს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. რაც მთავარია, არ უნდა შეუშინდეს საკუთარი აზრის ღიად გამოხატვას.

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6.50 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**. **კალენდარს ახლავს** შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

ს ი ა ხ ლ ე

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა

წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“

წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი – 17.70ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

ბიოლოგია (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი



9 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია



ერთი ტომის ფასი – 9 ლარი

თემატური ენციკლოპედია „რა არის რა“

- ქიმია
- მეცნიერებები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- კრიმინალისტიკა
- არქიტექტურა
- ევროპა
- უძველესი ადამიანი
- მეკობრეები
- ჯანსაღი კვება
- ამინდი
- ოლიმპიური თამაშები

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK